ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვალი

X წ. ყოველ-კვირეული გაზეთი. X წ.

№ 26 კვირა, 23 ივნისი 1902 წლისა. № 26

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: კარლ-ფოხტი X-სა.—ზოგ. კითხვ. მიწ. მფლ. შესახებ, მისაუბრისა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—წირვაზე, მით. სკიტალეცისა, თარ. ი. ელისა.—ბუნებამ თავისი ქნა, ზირიმზესა.—საზღვარ-გარეთ.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—გულმავიწ. თუ უმბდ., კ. გ-ძესი.—ადამიანის უჩინ. მტერი, ი. გ-ლისა.—ბიბლიოგრაფია, ნ. ელიავასი.—წვრილ. ამბები, ი. ელისა.—განცხ.—

## მეცნიერები.

### 4. კარლ ფოხტი.

ყოველ მეცნიერს, რომელსაც რაიმე კვალი დაუტოვებია თავის დარგში, მიუძღვის ორნაირი ღვაწლი. ან ის თავის ლაბორატორიაში, კაბინეტში მუშაობს და ამ მუდმივ შრომის შედეგათ უძღვნის კაცობრიობას ამა თუ იმ აღმოჩენას. ან და ის უკვე არსებულ ცოდნას ავრცელებს ხალხში, არღვევს მის ყუდროებას, ფანტავს ცრუმორწმუნეობის ბურუსს და ამ ნაირათ ნიადაგს უმზადებს გონებრივ განვითარებას. რასაკვირველია, დიდებული მკვლევარის სახელი, რომელმაც აღმოაჩინა რაიმე კაცობრიობისთვის მეტათ სასარგებლო კანონი, უფრო ხანგრძლივია, მას აშუქებს განსაკუთრებული სხივები შემოქმედებითი ძალისა. მარა მეორე ნაირ მეცნიერთაც არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვით კაცობრიობის წინაშე, თუმცა ეს ღვაწლი ისე თვალსაჩინო როდია ჩვენთვის, ის არ რჩება ისე ხალხს ხსოვნაში. ესეთივეა, მაგალითათ, გამოჩენილი არტისტის მოღვაწეობას. სანამ ის ცოცხალია, სანამ ხალხი მას ხედავს, მისი ხელოვნური თამაშით ტკბება, მასთან ერთათ მხიარულობს და იტანჯება, მანამდის ხალხი მას აღმერთებს, ალტაცებით ეჯებება, მასთან შედარებით ივიწყებს სხვებს, უფრო დიდ მნიშვნელოვანთ. მარა გავა დრო, არტისტი სცენას გაშორდება, და მისი სახელიც თან და თან ბურუსში ეხვევა, ბოლოს სულ მივიწყებასაც ეძლევა. ასევე ემართება პოპულიარიზატორსაც. სანამ ცოცხალია, სანამ ხალხში ტრიალებს, წინ უძღვის მას, სახელიც დიდი აქვს. მოშორდება თუ არა ხალხს, მისი სახელიც თანდათან კრთდება. კარლ ფოხტი, ოდესმე მთელ ევროპაში გრგვინავდა, მისი სახელი მესამოცე წლებში შიშის ზარს ცემდა წყვდიადის მოყვარულ კლერიკალებს, იტაცებდა სინათლის მაძიებელ ახალ თაობას, დღეს კი დრონი იცვალენ. რაც ორმოცი წლის წინეთ საბრძოლველი იყო, დღეს უკვე ყველასგან ცნობილია, ამიტომაც კარლ ფოხტის სახელიც თითქო მიივიწყებას მიეცა.



კარლ ფოხტი.

ფოხტი დაიბადა 1817 წ; გესენში. ამავე ქალაქში თექვსმეტი[?] წლის კარლი შევიდა უნივერსიტეტში, აქ ის ორი წლის განმავლობაში გულმოდგინეთ სწავლობდა ქიმიას გამოჩენილ ლიბიხის ხელმძღვანელობით. 1834 წელს ფოხტმა გაათავა ბერნის უნივერსიტეტი. იმ დროიდან იწყება მისი დამოუკიდებელი მოქმედება. ის გამოდის საზოგადო ასპარეზზე მტკიცე ხასიათით, მდიდარი ცოდნით, თავისუფლების სიყვარულით აღჭურვილი.

დიდი გავლენა ქონდა ფოხტის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მშობლებს. ფოხტის მამა იყო საექიმო[?] მეცნიერების პროფესორი გესენის უნივერსიტეტში, მარა მთავრობას ძალიან ეჯავრებოდა დაუდეგარი მეცნიერი. ის იყო დამოუკიდებელი ხასიათის და უკიდ...

აზრების მიმდევარი. ის რამდენჯერმე ამოირჩია ხალხმა დეპუტატათ, მარა მას სხვა ლიბერალ პროფესორებთან ერთათ არ ამტკიცებდა მთავრობა. დედის მხრივაც ფოხტს არ ყავდა „კეთილ-საიმედო“ ნათესავები. მისი ორი ბიძა ავგუსტი და კარლ ფოლენნები იყვნენ „ახალგაზრდა“ გერმანიის მეთაურთაგანი, ესე იგი მეოცე წლების დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელნი. ბოლოს ერთი მათგანი იძულებული იყო გადახვეწილიყო ამერიკაში, ხოლო მეორე შვეიცარიაში. როგორც ვხედავთ, ფოხტის ნათესაობა სულ თავისუფლების მოტრფიალენი ყოფილან. დავასახელოთ ერთი ცუბრალო მაგალითი. მას შემდეგ, რაც ფოხტის მამა გადასახლდა თავისუფალ შვეიცარიაში, მისი სახლი შეიქნა დევნულთა ბინათ. აქ მოდიოდენ სულ ყველანი, ვინც ცხოვრებას დაესაჯა პოლიტიკურ გიტაცების სათვის. სხვათა შორის, ერთმა ავსტრიელმა ემიგრანტმა, კუდლიხმა, თხოვა ფოხტის მამას ქალი. მოხუცი დათანხმდა, მარა როცა ჯვრის წერაზე მიდგა საქმე, სასიძომ ვერ იშოვა შესაფერი მოწმობა, რადგან ის გაძევებული იყო თავის სამშობლოდან. მაშინ ფოხტმა მოიწვია თავისი ნაცნობები, უამბო იმათ, თუ რაშია საქმე, შემდეგ დაუძახა თავის ქალს და კუდლიხს, აილო მათი ხელები, შეუერთა ერთმანეთს და გამოაცხადა: „თქვენ, მეგობრებო, გთხოვთ იყოთ მოწმეთ, რომ მე როგორც მამა, ვლოცავ ამ ქორწინებას და ვაძლევ ჩემ ქალს, მასივე სურვილით ამ და ამ პირს“. ასე მარტივათ გადაწყვიტა მან რთული საქმე. როცა კაცს ბავშობიდანვე გარს ახვევია ასეთი შესანიშნავი პირები, რომელთაც ის უყვართ, რა გასაკვირია, ის ყოველმხრივათ განვითარდეს და სისრულით გამოიჩინოს მთელი თავისი ძალა.

ფოხტის ოჯახში თავს იყრიდენ იმ დროის საუკეთესო მეცნიერნი. სხვათა შორის ხშირი სტუმარი იყო ცნობილი მეცნიერი აგასიცი. ამ კაცს დიდი გეგმები ქონდა შედგენილი სამეცნიერო კვლევებისათვის, მარა ერთ კაცს მათი განხორციელება არაფერი გზით არ შეეძლო. ამიტომაც იმან თხოვა ახალგაზრდა ფოხტს—მოდი, ერთათ ვიმუშავოთო. ფოხტიც დათანხმდა, კიდევ მოიწვიეს ერთი ახალგაზრდა - დეზორი. ამ ნაირათ შედგა პატარა სამეცნიერო კოოპერაცია; ხუთ წელს შეუჩერებლივ მუშაობდა სამი კაცი ერთათ. სადილს ჭამდენ აგასიცისას; არავითარი პირობები ჯამაგირის შესახებ მათ შორის არ ყოფილა. თუ აგასიცს ფული ექნებოდა, ის ცოტ-ცოტას გაუნაწილებდა ფოხტს და დეზორს აუცილებელ ხარჯებისათვის. მთელ ხუთ წელიწადს მუშაობდა ერთათ სამი მეცნიერი. ამ დროს განმავლობაში მათ გამოაქვეყნეს საერთო ძალით არა ერთი სამეცნიერო გამოკვლევა. ფოხტი საერთო სამუშაოს გარდა დამოუკიდებლათაც მუშაობდა. ის პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც მიილო შვანის თეორია ცხოველების უჯრებათ დაყოფის შესახებ. ფოხტისვე გამოკვლევანი ამფიბიების და თევზების განვითარების შესახებ შეიქნა აუცილებელ წყაროთ სულ ყველა შემდეგ დროის გამოკვლევებთათვის. მეტათ ნაყოფიერი და საგულისხმიერო იყო ეს საერთო შრომა. მარა ბოლოს იძულებული იყვნენ განშორებოდენ ერთმანეთს. აგასიცს აერია ანგარიშები. ის თავის შეძლებას არ აქცევდა ყურადღებას, ამავე დროს კი თანდათან აფართოვებდა თავის გამოკვლევებს. ბევრს შველოდენ აგასიცს მისი მეგობრები. მარა მაინც ბოლოს უკიდურესობამდე მივიდა, დახარჯა მთელი თავისი შეძლება, დავალიანდა კიდეც. ეხლა ერთათ-ერთი სახსნელი გზა მისთვის იყო ამერიკა, სადაც კაი ხანია იწვევდენ მას, აგასიცი ემუდარებოდა ფოხტს—წამოდი ამერიკაშიო. მარა უკანასკნელი არ დათანხმდა. ახლა ის საკმაოთ დახელოვნებული მეცნიერი იყო, მას წყუროდა დამოუკიდებელი მოქმედება. ასი ფრანკით გასწია მან პარიზისაკენ. აქ ის გაეცნო მაშინდელ მეცნიერების წარჩინებულ წარმომადგენლებს. ამ გაცნობამ კიდევ უფრო გააძლიერა მასში შრომის სურვილი. ის ბეჭდავს სპეციალურ გამოკვლევებს, ადგენს გეოლოგიის სახელმძღვანელოს, წერს პოპულიარულ სტატიებს [illegible] გაზეთში. შემდეგ ეს წერილები და[illegible]ნათ სახელწოდებით „ფიზიოლოგიური წერილები“. ამ წიგნს საზოგადოება მიიგება საოცარი გატაცებით. ის გამოსვლისთანავე გადათარგმნეს რამდენიმე ენაზე. აქ ფოხტი არის ნამდვილი მატერიალისტი, ის მკაცრათ არჩევს „სიცოცხლის ძალის“ ჰიპოტეზას. როგორც ვიცით, ორგანიზმის მოქმედებაში ბევრი ისეთი რამაა, რაც ადამიანისთვის ჯერ საიდუმლოა. აი, ამ საიდუმლოს ასახსნელათ ზოგიერთმა მეცნიერებმა გამოიგონეს „სიცოცხლის ძალა“. ამ სახით უნდოდათ თავიდან აეშორებიათ ცხოვრების საიდუმლოს ახსნა. ამის შესახებ ფოხტი შენიშნავს: სანამ ელექტრონულ ძალას აღმოაჩენდენ, ქუხილიც არაბუნებრივ მოვლენათ მიაჩნდათ, ესე იგი ის ადამიანისათვის საიდუმლოება იყო. მარა ელექტრონული ძალის ამოჩენამ ხელათ მოაშორა მას საიდუმლოება, ამ ნაირათ რამდენათ ფართოვდება ჩვენი ცოდნა ბუნების შესახებ, იმდენათ მცირდება საიდუმლოების ფარგალი, ირღვევა მისი სამფლობელო. ამასვე ვხედავთ ჩვენ ფიზიოლოგიაში. მე-XIX საუკუნის დასაწყისში არ მოიპოვებოდა არც ერთი ისეთი მოქმედება ორგანიზმში, რომლის ახსნაში „სიცოცხლის ძალა“ არ გამოეყენებიათ. დღეს კი ამ ძალის დასახელება ნიშნავს მხოლოთ უმეცრებას და მეტ არაფერს. დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ორგანიზმის მოქმედება არის მხოლოთ მექანიური და ქიმიური მოვლენა. მარტო წერით არ კმაყოფილდებოდა ფოხტი. ის მუდამ იმ აზრის იყო, რომ მეცნიერება ყველასთვის მისაწდომი უნდა იყოს, რომ ყველა მისი შენაძენი, რაც შეიძლება, მალე უნდა ვრცელდებოდეს ხალხში და საერთო კუთვნილებათ ხდებოდეს, ამიტომაც მან მიყო ხელი საჯარო ლექციების კითხვას. ჩამოიარა გერმანიის და შვეიცარიის თითქმის სულ ყველა ქალაქები. ამ საჯარო ლექციებმა დიდი მოძრაობა გამოიწვიეს მთელ გერმანიაში. ხალხი ორ ჯგუფათ გაიყო. რამდენათაც ერთი ნაწილი მას აღტაცებით ეგებებოდა, იმდენათ მეორე მტრულათ ეპყრობოდა. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მესამოცე წლები, როცა ფოხტი თავის საჯარო ლექციებს კითხულობდა, სწორეთ ის დრო იყო, როცა დარვინიზმი პირველათ იდგამდა ფეხს, ფოხტიც მიეკედლა საზოგადოთ დარვინის მოძღვრებას და სწორეთ ამიტომ იყო, მას რომ გაცხარებით ებრძოდენ მოწინააღმდეგენი. ფოხტის მოქმედება ხალხში, საჯარო ლექციებით, პოპულიარული წიგნების გავრცელებით დაუფასებელია. იმან გააღვიძა ხალხი და გამოიწვია მასში ინტერესი მეცნიერებისადმი, ხოლო ის მარტო მეცნიერებით არ კმაყოფილდებოდა. მიიღო აქტიური მონაწილეობა თვით საზოგადო ცხოვრებაშიც, პოლიტიკაშიაც. 1848 წ. საფრანგეთში მოხდა რევოლუცია. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე მთელ ევროპაში, რომ ამ რევოლუციის გამოხმაურება არ ყოფილიყო იქ. ფოხტის საცხოვრებელი ქალაქი გესენიც არ დარჩენილა ამ მოძრაობის გარეშე. 1848 წ. ფრანკფურტში შეიკრიბა პარლამენტი, სადაც გესენმა თავის წარმომადგენლათ გაგზავნა ფოხტი. პირველივე მომენტიდანვე ის მიეკედლა მემარცხენეთ და დაიჭირა საპატიო ადგილი თანამოაზრეთა შორის. ვებერი ამბობს თავის მსოფლიოს ისტორიაში: ფოხტი ოპოზიციის საუკეთესო ორატორი იყოვო.

ფოხტის პოლიტიკური იდეალი იყო კულტურული საზოგადოება, სადაც პიროვნების თავისუფლება არაა შეზღუდული არავითარი კანონით, გარდა ერთი საყოველთაო კანონისა, ეს კანონია საზოგადო ცხოვრებისაკენ მისწრაფება. ეს მისწრაფება უზრუნველ ყოფს საზოგადო ცხოვრებას, ხოლო პიროვნების შეუზღუდველი თავისუფლება არის ერთათ-ერთი პირობა,

რომელშიაც შეიძლება ადამიანის ინდივიდუალური თვისებების სავსებით განვითარება. როგორიც უნდა ყოფილიყო ფოხტი თავისი შეხედულებებით, ჩვენში ის მაინც სიმპატიას აღძრავს. მკაფიოთ გამოხატული შეგნება. გულწრფელობა, თავდაუწყებით გატაცება, სიმტკიცე და მამაცობა — აი ის თვისებები, რომელნიც ამ კაცს ძველი საბერძნეთის გმირებს უახლოვებენ.

მაშ მეცნიერებაში უკიდურესი მატერიალისტი, პოლიტიკაში დემოკრატი, დაუცხრომელი მტერი უმეცრების და ცრუმორწმუნეობის. გატაცებული აგიტატორი, თავისი აზრებისთვის დაურიდებელი მებრძოლი—აი, რა იყო ფოხტის თვისებები.

X.

---

## ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში.

### IV.

წინა წერილში ჩვენ ვუჩვენეთ მიწათ-მფლობელობის უმთავრესი ხასიათი საშუალო საუკუნოებში, ე. ი. ჩვენ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ მიწა-ადგილი მაშინ ორი კატეგორიის მფლობელთა განკარგულებაში იმყოფებოდა, ერთი მხრით საერო პირთა: მეფეთა, მთავართა და ერისთავთა და მეორე მხრით ეკლესია-მონასტრების. ესენი ფლობდენ მიწას ფეოდალური უფლებით, ე. ი. იმყოფებოდენ ურთიერთშორის, როგორც უფროსი და უნცროსი, სიუზერენი და ვასსალი; ერთს ქონდა უფლება მიწის ბოძების, მეორეს უფლება ამ ნაბოძები მამულის სარგებლობისა. იყო მხოლოთ ერთი ძირითადი განსხვავება საერო და სასულიერო მფლობელთა შორის, სახელდობრ ის, რომ „მამული ერთხელ შეწირული ეკლესიას აღარ წაერთმეოდა“, [1]) მაშინ, როცა საერო პირისთვის ნაბოძები მამულის წართმევა ყოველთვის შეიძლებოდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა იყო ერთი გარემოება, რომელიც აერთებდა საერო და სასულიერო პირთა მიწისმფლობელობას. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ როგორც შეუძლებელი იყო ნაბოძები მამულის თავისუფლათ გადაცემა, დაგირავება და მით უმეტეს გაყიდვა საერო მფლობელის, ისევე შეუძლებელი იყო საეკლესიო მამულის გადაცემა და გაყიდვა. პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ ნაბოძები მამული მხოლოთ დროებით მფლობელობას, ე. ი. სარგებლობას, ნიშნავდა; მისი მფლობელობა მხოლოთ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. ამისთვის შემოღებული იყო სიგელის განახლება როგორც ყოველი ახალი პირის გამეფების დროს, ისე მაშინ, როცა მამიდან შვილზე უნდა გადასულიყო ნაბოძები მამული. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ნაბოძები მამულის უზრუნველ საყოფელათ საჭირო იყო თავისი მეუფროსეს, სიუზერენის, მეფის ერთგული სამსახური. 1623 წელს მეფე სიმონმა უბოძა ბოქაულთ უხუცესს ქაიხოსრო ბარათაშვილს მთელი მამული ბარათ-ბარათაშვილისა, მხოლოთ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა უღალატა მას და მიემხრო სპარსეთის ყეენს [2]). საეკლესიო მამულის გადაცემა და გაყიდვა კი აკრძალული იყო საეკლესიო წესით, ვინაიდან იგი ხელუხლებელი უნდა დარჩენოდა ეკლესიასვე. ამავე წესს ვხედავთ რუსეთშიაც, სადაც იგი ფეხს იკიდებს მე-XIV საუკუნიდან დაწყებული [3]). აქ ჩვენ ვხედავთ ძირითად განსხვავებას, რომელსაც წარმოადგენს საშუალო საუკუნოების, ე. ი. ფეოდალური მიწათმფლობელობა ჩვენი დროის მიწის მფლობელობისაგან. თუ როგორ თანდათან შეიცვალა და სამუდამოთ დაირღვა ასეთი წესი მიწათმფლობელობისა და მიწა გახდა თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საგნათ, ამას ჩვენ შემდეგ გავიგებთ. აქ ჩვენ უნდა გამოვიძიოთ საფუძველი ამგვარი მიწათ-მფლობელობისა, უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ გაჩდა, განვითარდა და დამკვიდრდა ასეთი წესი მიწათ-მფლობელობისა.

მიწათ-მფლობელობის კითხვა ძლიერ მჭიდროთ შეკავშირებულია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან,—ეს უკანასკნელი, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა, ანუ საზოგადოების საწარმოვო ძალთა მდგომარეობა, ის საფუძველია, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მიწათ-მფლობელობის ესა თუ ის წესი. იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ნატურალურ მეურნეობასთან ერთათ ფეხს იკიდებს მიწის შემუშავება და რომელშიაც იმავე დროს აურაცხელ გარეშე მტერთა თავდასხმის გამო აუცილებელი ხდება მუდმივ მეომართა, მხედართა, რაზმის ყოლა, ადრე იქნება თუ გვიან, უსათუოთ უნდა გაჩდეს ფეოდალური ურთიერთობა. ასეთ პირობებში დარჩა ჩაყენებული ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდან. ისტორიის ცნობით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებას დასაწყისიდანვე ფეოდალური ხასიათი ემჩნევა. „ქართლის ცხოვრების“ თქმულებით საქართველოს პირველი მეფე [4]) და იმავე დროს ფეოდალური წესწყობილების შემომღები იყო ფარნავაზი (სამი საუკუნის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის): მან დაყო საქართველო რვა ნაწილათ და თითოეული იმათგანი ჩააბარა ცალკე ერისთავს [5]). ჩვენ აქ არ შევდივართ იმის განსჯაში, თუ რამდენათ ნამდვილია ფარნავაზი, როგორც ისტორიული პირი, ვინაიდან იმის ცხოვრების აღწერა უფრო ზღაპრულ ამბებს მოგვაგონებს, ვინემ ისტორიულ შემთხვევათ. არც იმის გამორკვევაში შევალთ, რატომ ამა თუ იმ წესწყობილების შემოღებას ერთ კაცს ვერასოდეს ვერ მივაკუთნებთ,— ამაზე ჩვენ მწერლობაში არა ერთხელ ყოფილა მსჯელობა. ვიტყვით მხოლოთ, რომ ერისთავნი, რომლების განწესებას მატიანე ფარნავაზს მიაკუთნებს, ფარნავაზის დრომდინაც იყვნენ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ისინი ამ სახელით არ იწოდებოდენ, არამედ ცნობილი იყვნენ, როგორც მამასახლისნი, ანუ თავადნი, ე. ი. თემთა და გვართა წინამძღოლნი ომში. ამის საბუთს ჩვენ ვპოულობთ თვით „ქართლის ცხოვრებაში“. მოკვითხრობს რა მცხეთოსის სიკვდილს, მატიანე ასე განაგრძობს: „იწყეს ბრძოლათ და ნდობათ ურთერთარს, და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან ამათგანი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხვანი შეეწეოდიან. რომელსამე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და შეიშალნიან და ებრძოლიან... და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილათ თავადნი იჩინიან; ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთას რეცა თავადი იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა, და არცა სახელი ედებოდათ მეფეთ, არცა ერისთავათ, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, იგი იყვის მაზავებელი და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა“ [6]). აქ წარმოდგენილი სურათი ჩვენი ქვეყნის უძველესი დროის წესწყობილებისა, სანამ პოლიტიკური სახელმწიფო დაარსდებოდა, სიმართლეს ძლიერ უახლოვდება. იგი წარმოგვიდგენს

---

[1]) ა. ხახანაშვილი, გუჯრები, გვ, XIV.

[2]) Д. П. Пурцеладзе. Крестьянскія грамоты, გვ. 3.

[3]) იხ. ამის შესახებ საინტერესო წერილები ნ. როჟკოვისა „Денежное хозяйство и формы землевладѣнія“ (Науч. Обозрѣніе, [illegible] въ русской исторіи» («Міръ

[4]) ბ ნ თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული ქრონიკების ცნობით საქართველოს პირველი მეფე ყოფილა არან. იხ. „ქრონიკები“, გვ. 12.

[5]) „განამრავლნა ყოველი მხედარნი ქართლოსანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. „ქართლის ცხოვრება“. ზ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 39.

[6]) „ქართლის ცხოვრება“, გამ. ზ—სა, გვ. 23-24.

ბარბაროსულ ხანას და თავისი ხასიათით ძლიერ წაგავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდენ გერმანელთა ტომნი და ნათესავნი, როცა ისინი აწერილ იქნენ ცეზარის და ტაციტის მიერ. გარეშე მტერთა თავდასხმამ და მათთან ხშირმა ბრძოლამ ეს დამოუკიდებელი ტომნი და ნათესავნი თავიანთი მამასახლისებით და გმირებით აიძულეს, რომ შეერთებულიყვენ, შეეკრათ ცოტათ თე ბევრათ ხანგრძლივი ზაი. შემდეგ ეს თავდება იმით, რომ ერთ რომელიმე თემის თუ ნათესავის მამასახლისს ირჩევენ მეფეთ, რომელსაც ყველა დანარჩენი მამასახლისი ანუ თავადი მორჩილებას უცხადებს. ასე მოხდა ძველ საბერძნეთში და რომში და საშვალ საუკუნოების ევროპაში; განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ჩვენში მეფეებმა ვერასოდეს ვერ შეძლეს მძლავრ ფეოდალურ მეგატონეთა, მთავართა და ერისთავთა, შემუსერა, მათი ძლიერების და მნიშვნელობის შემცირება და თავისი გავლენის გაძლიერება. ორი ათასის წლის განმავლობაში იშვიათათ ყოფილა ისეთი ხანა, რომ მეფეთა და ფეოდალთა შორის გაჩწვავებული და სასტიკი ბრძოლა არ ყოფილიყოს. დიდებულნი და ერისთავნი, როცა მათ უნდათ, ირჩევენ მეფეთ და დახმარებას უწევენ. „მაშინ შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი ამის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზი და ეპისკოპოსნი და მეფე ყვეს“,—ვკითხულობთ ჩვენ მატიანეში. როცა არ მოსწონთ მეფე, მაშინ არა თუ მორჩილებენ მას, არამედ ღალატობენ და ებრძოლებიან სხვას. თვით ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ შეკრბენ ერისთავნი და თქვეს: „არა კეთილარს ჩვენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენს, არამედ ვიყოთ ერთათ და მოვკლათ ჩვენ საუმარგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა, ვინც ავნი გამოჩნდეს მძლე“.[7]) ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური წყობილება სამეფოს დაარსებიდან-მის მოსპობამდე, ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. მთელი ამ ხანის განმავლობაში, რომელიც შეიცავს ორიათასზე მეტ წელს, ამ წყობილებაში შესამჩნევი ცვლილება არა მოხდარა რა. თუ ერთი ფეოდალი დაეცემოდა, მის ადგილას მეორე განდიდდებოდა და სხვა ამგვარი. აქ საჭიროა მოვიხსენიოთ შემდეგი გარემოება.

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ფეოდალურ ოდენობას იძენენ სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენელნი. ჩვენ ზევით მოხსენებული გვქონდა, რომ მეფის არჩევის დროს იკრიბებოდენ საერო ფეოდალებთან ერთათ სასულიერო წოდების უმაღლესი პირნი: კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი, როგორც ფეოდალები. მაგრამ იმათი ფეოდალური უფლებანი მარტო კრებაში მონაწილეობის მიღებით არ განისაზღვრებოდა. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპაში სასულიერო პირები: ეპისკოპოსები და აბატები იყვენ მთელი პროვინციების გამგენი, როგორც დამოუკიდებელი მთავარნი; ისინი ღებულობდენ მონაწილეობას ომში, როგორც მხედართ მთავარნი. ჩვენშიაც სწორეთ ამას ეხედავთ. ეპისკოპოსები წინაუძღოდენ, უფროსობდენ ჯარს ომში, როგორც სარდლები[8]). შემდეგი ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ქართული მატიანე, მეტათ შესანიშნავია ამ ხრით. მატიანე მოგვითხრობს მეფე ბაგრატ მესამეზე, რომ მან „ურჩნი თვისნი შესცვალნა და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი, გამოლაშქრა ყოველითა სპითა თვისითა და გარდმოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვა ციხენი ქართლისანი, რომელი მათ ჰქონდეს; მას ჟამსა იყო კახეთს ქორეპისკოპოსი დავითი. ხოლო მან არ ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ. „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იეთს ჩვენ შორის დამჯერებული შეკრება [illegible] ხოდო მუ წინა მოგეგებო ქსანსაზედ“.[9]) აქედან აშკარათ ჩანს, რომ სასულიერო წოდების წარჩინებული პირნი [illegible] ჩამოუვარდებოდენ საერო ფეოდალთ; და თუ [illegible] ველობაში იმ გარემოებას, რომ ეკლესიის ხელში გადავ[illegible] დიდ-ძალი მამული, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეკლესია, როგორც ფეოდალური ბატონი, ბევრათ ჯობნიდა საერო ფეოდალებს და თითქმის წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. „საქართველოში—ამბობს ცნობილი მარი ბროსსე—როგორც ევროპის ქვეყნებში, სამღვდელოება წარმოადგენდა ერთ დამოუკიდებელ მთელს (corporation), სხვა-და-სხვა უფლებით აღჭურვილს, საეკლესიო ხალხს პოლიტიკური და სამოქალაქო ხალხის გვერდით, რომლისთვისაც არსებობდენ განსაკუთრებული წესი და კანონები, მაგრამ რომელიც არას დროს არ ზრუნავდა ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობისათვის. კათალიკოზი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი სულიერი მეფე“.[10]) მაგრამ რადგანაც ამ საგანზე ჩვენ კიდევ შემდეგ ვილაპარაკებთ, აქ ვწყვეტთ მაზე სიტყვას და გადავდივართ მეორე საკითხზე, რომელიც აქვე უნდა იქნას განხილული.

ეს საკითხი არის შემდეგი: რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ფეოდალებს დაბლა მდგომი ხალხი, პირველ ხანებში და შემდეგ. სამწუხაროთ, ჩვენი ისტორიის წყაროები ამ საგნის შესახებ თითქმის სრულებით არაფერს ამბობენ, პირველ ხანების შესახებ მაინც. აპრიორულათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისუფალი მიწის მუშა გლეხ-კაცობა გავრცელებული უნდა ყოფილიყო მეათე საუკუნემდის ქრისტეს შემდეგ. ამ თავისუფალი გლეხ-კაცობის მოსპობა ნელი ნაბიჯით ხდებოდა. იბადება კითხვა: რა უფრო ადრე დაკარგა გლეხ-კაცობამ: პირადი დამოუკიდებლობა თუ მიწის თავისუფალი მფლობელობა? ჩვენი შეხედულებით, ეს პროცესი ორივე გზით ხდებოდა, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ ეკლესია-მონასტრებმა ძლიერ დაჩქარეს იგი. წინანდელი თავისუფალი გლეხის ადგილი თანდათან დაიჭირა დამოკიდებულმა გლეხმა, ანუ ბატონის ყმამ. როდის გაჩნდა ჩვენში ბატონ-ყმური დამოკიდებულება, ეს საკითხი ჯერ ჩვენში გადაწყვეტილი არ არის. ბ. ა. ხახანაშვილი, მაგ., ამ საგნის შესახებ ამბობს: „აღბუღას დროს (ე. ი. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს) არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებში. აღბუღამ იცის მხოლოთ დროებით მოვალე, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს ვალი და განთავისუფლდეს. ამისთანა ყმას კი არ აკლია არც პიროვნული და არც ქონებრივი უფლებაო.[11]) მეორე ადგილას იგივე ავტორი გადაკვრით გვეუბნება: „ეს კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი მეფის კანონებმა სრულებით არ იცის ბატონ-ყმობაო“.[12]) ამნაირათ ბ. ხახანაშვილის აზრით გამოდის, რომ ბატონ-ყმობა ჩვენში მეთუთხმეტე საუკუნიდან იწყება და მხოლოთ მეჩვიდმეტე საუკუნეში ღებულობს განვითარებულ სახეს. მაგრამ ასეთი აზრი დღეს მისაღები არ არის. ბატონ-ყმობის დასაწყისი ჩვენში უჯრო წინა საუკუნეებში უნდა ეძიოთ, ვინემ მეთუთხმეტე და გინდ მეთოთხმეტე საუკუნ[illegible]სანამ ამის საბუთს დავასახელებთ, მოვიყვანოთ აქ ბ. ნ. ურბნელის შეხედულება ამ საგანზე. ამ ავტორის აზრით აღბუღას დროს ბატონ-ყმური ურთიერთობა მეტათ გამწვავებული ყოფილა, ნდობა და სათნოება ბატონსა და ყმას შორის შერყეულა და დამცირებულა. აღბუღას კანონით ბატონს ნება ეძლე-

[illegible]ნვალეს, რომელ[illegible]

[7]) Ibid გვ. 40-41.

[8]) Пурцеладзе. Церковные Гузджары, გვ. 2.

[9]) იხ. „ქართლის ცხ-ბა“, გვ. 304.

[10]) M. F. Brosset. Histoire de la Georgie, introduction, p. C. IX.

[11]) იხ. „ბატონ-ყმობა“ გვ. 28.

[12]) იგივე გვ. 17. აქ [illegible]

ვა „საგლეხო ფუძე მიყიდოს, ბინა კაცრიელი, გინა უკაცური“ (მეხ. 6ზ), ე. ი. გლეხი გაყიდოსო სახლ-კარითა და სახლობით, ანუ მარტო სახლ-კარი გაუყიდოსო“. [13]) შემდეგ ამისა ბ-ნი. ნ. ურბნელი, მოიყვანს რა ბ. ა. ხახანაშვილის სიტყვებს, რომ აღბუღას დროს არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებშიო, ამბობს: „არა, აღბუღას დროსაც ისეთივე ყმობა იყო, როგორც ვახტანგ სულისმდებლის დროს. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ რაც დრო მიდიოდა, [illegible] სიმძიმე შეიქნა და გლეხის ყმათ მიცემა გაადვილდა.“ [14]) ამნაირათ ბ. ურბნელმა დაარღვია ბ. ხახანაშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ვითომც აღბუღას დროს არ ყოფილიყოს ის ყმობა, რომელიც ვახტანგის დროს იყო, მაგრამ იგი სრულებით არ შეეხო ბ. ხახანაშვილის მეორე აზრს, რომ ვითომც გიორგი ბრწყინვალის დროს, ე. ი. მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ბატონ-ყმობა სრულებით არ ყოფილიყოს. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ბ. ურბნელიც ასეთი აზრისაა? თუ რამდენათ შესაწყნარებელია დღეს ასეთი შეხედულება, ამას ჩვენ შემდეგ წერილში დავინახავთ.

მოსაუბრე.

(შემდეგი იქნება)

## შინაური მიმოხილვა

ჩვენებური აგრარიული კითხვა თანდათან უფრო მწვავდება და ჯერ კიდევ ძლიერ შორს არის ის დრო, როცა ეს კითხვა მოწესრიგდება. უმთავრესი მიზეზი ამ კითხვის გართულებისა და წოდებათა შორის განწყობილების გამწვავებისა არის გლეხების მიწის სივიწროვე, რომელნიც მოკლებული არიან როგორც სახნავ-სათესს, ისე საძოვარს და ტყეს. წინაამდეგ ზოგიერთ დროს გადასულ პუბლიცისტებისა, როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში, იშვიათია ისეთი გლეხი, გლეხი სოციალური მდგომარეობით და არა მარტო წოდებით, რომელიც არ საჭიროებდეს მებატონის ან სახაზინო და საეკლესიო მიწების დამუშავებაში და უამისოთ შეეძლოს ცოლ-შვილის გამოკვება და სავალდებულო ხარჯების გაწევა. ასეთ მდგომარეობაში არის თავდახსნილი, კიდევ უარესშია ხიზანი, დროებით ვალდებული და მოიჯარე. გლეხების ასეთმა მდგომარეობამ კარგა ხანია მიიქცია ყურადღება, მაგრამ სამწუხაროთ დღემდე არაფერი გაკეთებულა, თვით გლეხობის რიცხვს კი ემატება და ამით მათი გაჭირვებაც იზრდება და მატულობს. ასეთია საზოგადო სურათი დღევანდელი სოფლისა, მაგრამ იმერეთსა და ამერეთს შორის დიდი განსხვავებაა. პირველის სოფელი უკვე ამოძრავდა და მიაწვა ქალაქს, ხოლო უკანასკნელი ჯერ კიდევ ვერ ცილდება თავის კერას. ამიტომაქ უფრო გამწვავებულია მდგომარეობა, და ხშირათ უფრო მწარე მოვლენებიც მოყვება ხოლმე, რის მაგალითებს არა ერთხელ ჩაუფიქრებია ჩვენი საზოგადოება. ახლა როგორც „Н. О“-ში ბ. კ. ყიფიანის მოთავსებული წერილიდან ჩანს, ამ კითხვისათვის ყურადღება მიუქცევია გორის მაზრის თავად-აზნაურობას საკუთრივ საძოვრების საქმისათვის. კითხვა მეტათ დიდმნიშვნელოვანია, რადგან ჩვენებური გლეხი ჯერ კიდევ მხოლოთ ცოცხალი, საქონლის ძალით ამუშავებს მიწას და თუ საქონელს საძოვარი არ აქვს, რით უნდა არჩინოს იგი უამისოთაც მრავალ ტანჯულმა გლეხმა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელიც იყო, მარტო ერთი მხრის, თავად-აზნაურობის, წარმომადგენლებისაგან შემდგარ კომისსიას ვერ გადაუწყვეტია სამართლიანათ კითხვა. მათ მიუღიათ მხედველობაში მხოლოთ დროებით-ვალდებულ გლეხების საჭიროება და ამის დაკმაყოფილება განუზრახავთ. სამართლიანათ აღნიშნავს ამ კომისსიის წევრი, ბ. ყიფიანი, კითხვის ასე დაყენების [illegible] დგან არა ნაკლებ გაჭირვებაში არიან, მისივე [illegible] კუთრე, მეიჯარე და ხიზანი გლეხები. საჭიროა მათი ინტერესებიც იქნეს მიღებულიო, ამბობს ბ. ყიფიანი, და მართველობას მოუწოდებს ამ საქმეში ჩასარევათ. ჩვენც გვგონია, რომ მარტო ერთი დაინტერესებული მხარე ვერ შესძლებს ამ კითხვის მოგვარებას და რადგან აქ წარმომდგარია არა ერთი და ორი ასი ათასი სულის ინტერესი, სახელმწიფოს ჩარევა უადგილო არ იქნება.

* *
*

დღეისწორს დასრულდა ქუთაისში არჩევნების ციებცხელება, რომლითაც საზრდოობს უმთავრესათ იმერეთი. წლევანდელი სეზონი მეტათ ბედნიერი გამოდგა ეგრეთ წოდებული ინტელიგენციისათვის, რომელიც დიდი ხანია დაჩაგრული იყო ქუთაისში ლოლუა-ჩიკვაიძის კავშირისაგან. არ ვიცით, რამდენ ხანს დარჩებოდა ამ ტირალ მდგომარეობაში ჩვენი ბურჯი ინტელიგენცია, რომ უეცარ შემთხვევებს არ შეეწყო ხელი და deus ex machina არ გამოჩენოდათ გამომძიებელისა და მართებლობის მიერ დანიშნულ მართველის სახით, მაგრამ ამ გარემოებამ ორ დევგმირს ხალისი და ინტერესი დაუკარგა, და „ინტელიგენციამ“ გაიმარჯვა თითქმის ყოველგან, ე. ი. ორ ბანკში და ხმოსნების არჩევნებზე. პირველ ორში საქმე დასრულებულია, საბჭოში კი აწია უმთავრესი საკითხი გადასაწყვეტი, სახელდობრ, მოურავის და გამგეობის წევრის არჩევა, მიუხედავათ იმისა, რომ ხმოსნების უმრავლესობა ერთი „პარტიის“ საიდან არის არჩეული, და დიდი უმრავლესობა ინტელიგენტებია, ქუთათურებისაგან მოსალოდნელია რომ აწი შეექმნებათ კენჭებით ვაჭრობა, თუმცა დიდი სირცხვილი კია, რომ რჩეულთა აზრიც ცვალებადია.

აღსანიშნავია აქ ის გარემოებაც, რომ ორივე პარტიის წევრები თითქმის ერთი და იმავე უმრავლესობით არიან არჩეული, რაც მარტო იმით უნდა აიხსნას, რომ ყოველი ჩვენებური პარტიობა-შეჯახება უპროგრამოთ და უაზროთ წარმოებს. ასეთი იყო წრევანდელი ქუთაისის ქალაქის არჩევნებიც, და ამომრჩეველი არაფერში არ არის გასამტყუნარი; რით უნდა გაარჩიოს მან სხვა და სხვა სიებში მოთავსებული პირები, როცა თვით ამ პირებსაც ნაკლებათ აქვთ შეგნებული და გამორკვეული თავიანთი საზოგადოებრივი ფიზიონომია...

* *
*

ქუთაისი, როგორც მოგეხსენებათ, „ინტელიგენტთა“ ქალაქია. მარტო ახალ არჩეულ ხმოსნების რიცხვში 35 დიპლომიანი ინტელიგენტია გარდა ნახევარ და ყოფილ ინტელიგენტთა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ქუთაისი ყოველთვის უკაცობას განიცდის და დიდ გაჭირვებაშიაც ჩავარდებოდა, ზოგიერთ გულმოწყალე „ჭკვიანი კაცების“ ცეზარისებური მადა რომ არ შველოდეს. გეხსომებათ, რა იყო ცეზარი (ან კეისარი) რომის ისტორიაში. როცა მან თვითმპყრობელ მეფეთ გახდომა მოისურვა, ყველა რესპუბლიკანურ თანამდებობაზე აარჩევია თავი: ჯერ ის იყო მხოლოთ იმპერატორი (ჯარის უფროსი), შემდეგ კონსულობა მიიღო, ტრიბუნობა და სხვა თვით უმაღლეს პონტიფექსობამდე, რომელიც უმაღლესი სამღვდელო პირი იყო. ქუთაისსა და რომს შორის, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა, სწორეთ იმდენი, რამდენიც ცეზარსა და ზდანოვიჩს შორის, მაგრამ ამ პატარა და უკაცო ქვეყანაში ესეც ცეზარია და ცეზარი გულმოწყალე. ის თანახმა იყო ეპატრონებია უპატრონო ქუთაისისთვის და ღებულობდა მოურაობას მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეობასთან ერთათ, თანახმა გახდა საბჭოს ხმოსნის და ქალაქის კონტრაგენტის თანამდებობის შეერთებაზე, ახლა თანახმაა [illegible]

---

[13]) იხ. მისი „ათაბაგები ბექა და აღბუღა“, გვ. 109 110

[14]) იქავე, გვ. 122.

ქვის სინდიკატის თავმჯდომარეობა და, როგორც ამბობენ, უარს არ იტყვის, თუ საჭიროებამ მოითხოვა, არც დამფასებელი კომისსიის თავმჯდომარეობაზე და ქალაქის გამგეობის წევრობაზე, რადგან ახლა ქუთაისში ბევრი ადგილია თავისუფალი, უკაცობა კი ძველებურია...

## სხვა-და-სხვა ამბები.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადაწყვიტა მეორე ლიანდაგი გამართოს ხაშურსა და ყვირილას შუა. გამგეობა ახლა იბარებს პეტერბურგიდან ოთხ ინჟინერს, რომელთაც ეს საქმე მიენდობა.

---

თფილისის თავშესაფარების გამგეების მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებისაგან ჩანს, რომ თავშესაფარებით 1899 წლიდან 1901 წლის პირველ იანვრამდე უსარგებლნიათ: რუსებს მამაკაცებს 18,768-ჯერ, დედაკაცს 1350, სომხებს: მამაკაცს 14,227 და დედაკაცს 3725, ქართველებს: 3,994 მამაკაცს და 126 დედაკაცს, სპარსელებს: მამაკაცებს 21 და სხვა-და-სხვა ტომისა 1838 კაცს. სულ 39,391-ჯერ მამაკაცს და 5237 დედაკაცს.

---

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ ჟამათ შემუშავებულია საშვალო შკოლის რეფორმის ორი პროექტი. ერთი აზრი უფრო უახლოვდება გენერალ ვანოვსკის რადიკალურ პროექტს და ამბობს, საშვალო სკოლის განახლებისათვის საჭიროა ბერძნული ენა სრულიათ განიდევნოს, ხოლო ლათინური მესამე კლასიდან უნდა იწყებოდესო. მეორე აზრი კი სრულიათ არ არყევს საშვალო შკოლას და ძალსწავლეებს ამსუბუქებს მხოლოთ იმით, რომ ლათინური და ბერძნული ენა მესამედან და მეოთხე კლასიდან იწყება. პირველი აზრის მომხრენი არიან საშვალო სასწავლებელთა უფროსები, რომლებიც უფრო დაახლოვებით იცნობენ შკოლას და მეორე აზრს იცავენ სამეცნიერო კომიტეტის წევრნი, ესე იგი, ცენტრალურ მთავრობის მოხელენი.

---

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის შკოლაში, როგორც შევიტყვეთ, შემოდგომიდან ორი მასწავლებლის ადგილი იქნება თავისუფალი.

---

თფილისის მთავარ სამკურნალოში მაისის თვის განმავლობაში ავათმყოფი ყოფილა სულ 2610 კაცი, ავლაბრის განყოფილებაში—661, ხარფუხისაში—440 და კუკიისაში—717. ამ ავათმყოფებს ქალაქის სამკურნალოებისათვის მიუმართავთ სულ 10681-ჯერ. თვის განმავლობაში გაუციათ წამალი 11896 რეცეპტით. სადეზინფექციო სადგურში დეზინფექცია მოუხდენიათ 6721 ძველ ტანისამოსისათვის და 43 თვით სხვა-და-სხვა ნივთისათვის.

---

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს ამ ჟამათ 67 დარჩენილი მამული ქონია. აქედან 31 მამული ქუთაისის მაზრაშია, 15—შორაპნისა, 8—რაჭისა, 6—ზუგდიდისა, 4—სენაკისა, 3—ოზურგეთისა და 1—ლეჩხუმისაში.

---

ქუთაისის დამატებითი საქალაქო არჩევნები გათავდა. გაშავდა ყველა „ინტელიგენტი“. ამოირჩიეს თორმეტ კაცში თ. დ. ბუკუჩავა (144 თეორ. 132 შაკი) და ა. ახვლედიანი (140 თ.—136 შ.)

---

**იბეჭდება და ჩქარა გასაყიდათ გამოვა იოსებ იმედაშვილის გამოცემანი 1, მაქსიმე გორკის მოთხრობანი და 2, უცხო სიტყვათა დექსიკონი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორესპონდენცია.

**დ. ჩხარი.** დიდი ხანი არ არის, რაც ჩხარმაც კამოიღვიძა და წინ-სვლის გზაზე დაადგა. ვაჭრობა უძველეს დროიდან ადორძინდა ამ დაბაში, მაგრამ უგზოობა მისვლა-მოსვლას ძლიერ აძნელებდა და მით კიდეც აფერხებდა ადებ-მიცემობას. ორი წელიწადია, რაც აქ მომრიგებელ სასამართლოს განეოფილება გახსნეს. მისვლა-მოსვლა აუცილებელ საჭიროებათ გადაიქცა, მაგრამ გზა ისევ ისე დარჩა, მხოლოთ ერთი გზა გაიეკვანეს ეკირდისაკენ და ისიც, ადრე თუ გვიან, წახდება... თუ გინდ კიდეც გააკეთონ ეს გზა, მისვლა-მოსვლა, ნამეტურ ზამთრობით, მაინც ძნელი დარჩება. საქმე იმაშია, რომ ამ გზას სჭრის მდინარე ჩოლაბური, რომელზედაც ხიდი არ მოიპოვება... გააკეთეს ერთხელ, მაგრამ წყალ-დიდობის დროს მდინარემ დაანგრია, სწორეთ უბედურებაა ზამთრობით, როცა დიდიანსით გავლენ ხოლმე ამ წყალში. რამდენი უბედურება მოხდა? ერთი დელეყანსი წასულ წყლს ტეხნებიანათ წაიღო... და რამდენი უბედურება მოხდება აწიც, თუ აქ მაგარი ხიდი არ გააკეთეს... ამის საჭიროებას ყველა გრძნობს ახლო-მახლო სოფლებში, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ გამოჩენილა ისეთი მოთავე კაცი, რომელმაც იქ შეებარე სოფლებში მოგრიბოს ფული, მთავრობისგანაც აიღოს რამდენიმე და ამით საქმე მოაწყოს... საჭირო კია ძალიან, რომ ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ჩხარელი.

---

**ს. ქვიშხეთი.** ეს ათი წელიწადი იქნება, რაც ქვიშხეთში ეოველ-წლივ აუარებელი ხალხი მოდის საკარაკოთ. ეს სოფელი მშვენიერი მდებარეობით და გრილი ჰაერით ბევრ ხალხს იზიდავს თავისკენ. მაგრამ, როგორც ეოველთვის, ჩვენი ქართველი საზოგადოება მნიშვნელობას არ აძლევს ამ ფრიად საყურადღებო და თავისთვის სასარგებლო საქმეს. ამ 10 წლის განმავლობაში ქვიშხეთელებს არავითარი საშველება არ უმზარიათ, რომ საკარაკოთ მოსული ხალხის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილონ. არ არის რიგიანი გზები, არ ვარგა სახლები, რომელნიც დღიდან გაკეთებისა არ შეკეთებულან, ვერ იშოვნი საჭირო სასოფაგეს... ერთი სიტყვით, მცხოვრებლები ყიდიან მხოლოდ ჰაერს და ჰაერი კი, უნდა მოგახსენოთ, მშვენიერია. მაგრამ მარტო ჰაერის გულისათვის, თუ სხვა მხრივ რიგიანსა არა ხარ მოწყობილი, როგორ წავიდეს კაცი საკარაკოთ! თუ ქვიშხეთელებს თავისთვის სიკეთე უნდათ, თუ უნდათ, რომ არ დაკარგეთ ის შემოსავალი, რომელიც ეხლა მათ აქვთ, საჭირო შეაკეთონ სახლები, გაიეკვანონ რიგიანი გზები... ერთი სიტყვით უნდა მიიღონ ეოველივე ზომები, თორემ შერე თითონვე ინანებენ. რამოდენიმე ხალხისთვის გულშემატკივარმა პირმა აქ დაიწყო ფრიად სიმპატიური საქმე:—ხალხისთვის წარმოდგენებისა და კითხვის მართვა. მთავრობისგან ნება-რთვა უკვე აღებულია, და სტენაც მზათ არის. იმედია, შრომას და ენერგიას არ დაზოგავენ და თავიანთ საქმეს გატაცებით ემსახურებიან.

კ—ია.

---

## წ ი რ ვ ა ზ ე.

მოთხრობა სკიტალეცისა.

ბნელა. ზამთრის ღამეს ქალაქი ერთიან მიუყუჩებია, ჩაუჩუმებია. არსაიდან არ ისმის, არც ფეხის, არც მარხილის ხმაურობა, არ ჩანს არსად სინათლეც.

ღამის ასიასასები გახვეულა დიდ ქურქებში და ძინავთ აქა-იქ დუქნების წინ, მხოლოთ შავათ წაგრაგნილ ცაზ კრთიან ფერმკრთალი ვარსკვლავები და ციგათ დაყურებენ ძირს დედამიწას შეხვეულს ბნელ და იდუმალ სუდარაში.

ქუჩის ნაპირებზე ტროტუარები თოვლს დაუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავს, არა ჩანს არსათ ადამიანის ნაფეხური. ემინევა ჯერ არავის არ გამოუვლია. სიჩუმეა. ქალაქი თითქის მოკვდარა. ირგვლივ მხოლოთ წყვდიადია და დუმილი.

ამ დროს უცებ ჰაერში გაისმა მკახე ხმა ზარისა. ეს ხმა თრთოლკით ჩაეშვა მიდამოს დუმილში და ნელ-ნელა ქვითინით გაქრა, ჩაკვდა სიჩუმეში. ხელ ახლა დამშვიდდა ყოველფერი. სიჩუმე განაბული ფეთქავს და წყვდიადი შემკრთალი იყურება აქეთ-იქიდან. თითქის ზარის უკანეკნელი ხმა გაქრა სიჩუმის უდაბნოში, თითქოს მან ვერ გაალვიძა მიძინებული წყვდიადი. მაგრამ, როდესაც ჩაჩუმდა მისი ობოლი ხმა, საიდამლაც სიჩუმეში ნელ-ნელა შემოცურდა მეორე ზარის ხმა. ეს ხმები იხლართებოდენ ერთმანეთში და ამნაირათ იბადებოდა სხვა-და-სხვა ხმები და ჰანგები. ისინი ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებოდენ, გმინავდენ, ქვითინებდენ და ინთქმებოდენ სიჩუმეში.

ძველ ეკლესიაში ოდნავ ბჟუტავდა სანთელი. შავი დაბალი გუმბათი რაღაც საიდუმლოებით იყურებოდა სიბნელეში. მკრთალ სინათლეზე დიდრონი ჩრდილები აქა-იქ კედლებს ელამუნებოდენ.

სანთლები და კანდელები ვარსკვლავებივით ბჟუტავდენ კანკელის მარჯვნივ მხარეს; მარჯვნივ და მარცხნივ ტრაპეზთან კი ბნელოდა.

მთლათ გათეთრებული თმა-წვერით ეკლესიის დიდი გასაღებებით ხელში შევიდა ტაძარში. მის ფეხის ხმას იმეორებდენ ტაძრის კედლები და გასაღებების წკარუნთან ერთათ ეს ხმა რაღაც საიდუმლოებით იყო მოცული, თითქოს ტაძარში დადიოდა ვიღაც აჩრდილი ლმობიერი გულ-კეთილი მაასოებელი. მოხუცის ჩრდილი ხან კანკელზე აცურდებოდა, ხან ტრაპეზს შემოუვლიდა გარშემო და ხან კი კედელზე აიმართებოდა.

ეკლესიის მსმენელებმაც დაიკრიალეს და ტაძარში ცივი ჰაერის ორთქლი შემოიზლაზნა, ცოტა ხანს შემდეგ ეკლესიაში შემოვიდა მაღალი ტანის მთავარი დიდ ტულუპში, რომლის საყელოც ისე აეწია, რომ მთლათ უფარავდა უკანიდან თავს. ტაძარში შემოსვლისთანავე მან საყელო გადაიკეცა, გაპტყელებულ წვერებს ხელი ჩამოუსვა, გაისწორა ქოჩორზელა შერჩენილი თმა და ჩაახველა სიფრთხილით თითქოს უნდოდა ხმა ამოეწმიდა, მისმა ბოხმა ხმამ შეაკრთო ტაძრის სიჩუმე, ტალღასავით დაკრა მიყუჩებულ ჰაერს და გაიფანტა მაღლა გუმბათებში.

მთავარი მძიმე ნაბიჯით გაემართა საკურთხevლისაკენ. მისი წამოსადეგი სურათი გძელი წვერით და ქოჩორზე შეხუხუჭებული თმით კრთოდა ოდნავ განათებულ ვერცხლის ხატებზე; უკან მოსდევდა მას თავისივე დიდი აჩრდილი.

ტაძრის ძმიმე კარები კვლავ აკრიალდენ, ჰაერში კიდევ გამეორდა მისი ხმა და ეკლესიაში ხველებით ვიღაც შემოვიდა. მას თან მოყვა მეორე, მესამე და თანდათან მკრთალ სინათლეზე მატულობდენ აჩრდილთა სახეები ფაცა-ფუცით შემოცვივდენ მგალობლებიც, გაირბინეს ტაძარში და ავიდენ კლიროსზე, საიდანაც გაისმა ფრთხილი ხველება ტენორებისა და მოზდილების ბოხი ხმა.

მათ თან მოყვენ მლოცველები ტყავებში და შეთრთიალურ ქალამნებში.

კანკელის წინ თანდათან მატულობდა ციმციმა სანთლების სინათლე. გაისმა მოხუცებული მღვდლის სუსტი ხმაც საკურთხevლიდან, და დიაკონმა მიაყოლა ზედ ჟამნობა. ის კითხულობდა თხასავით კეკინა ხმაზე.

დიაკონი დიდი ოსტატი იყო ჩქარ-ჩქარა კითხვისა, მასისე სწრაფათ გადაქონდა სიტყვები ერთმანეთზე, რომ შეუძლებელი იყო მსმენელს გაეგო მათი აზრი. ის ხან ჩააჩუმებდა ხმას, ხან ნელ-ნელა გადავიდოდა მაღალ კილოზე და კითხვასთან ერთათ თითქის მღეროდა კიდეც.

„ასპიდსა და ვასილისკოსა ზედა ხვიდოდეთ და დასთელოთ შენ ლომი და ვეშაპი... მიწყალე მე ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა შემიწყალე მე...

ცალცალკე სიტყვები ირეოდენ მის გაბმულ ხმაში. „უფალო შეგვიწყალე“ ისე გადადიოდა ერთმანეთზე, რომ მოისმოდა მხოლოთ სიტყვის ნაწყვეტი „წყალე“.

ამ ხმას ზედ ერთობოდა მლოცველთა ფეხის ხმაურობა და საკურთხevლიდან მთავრის ბოხი ბურდღული.

კლიროსიდან გამოჩანდა მგალობელთა დასი, ისინი წირვის დაწყების მოლოდინში თვლემენ, დასის შუა მოჩანდა მაღალი და გამხდარი ლოტბარი.

ბოლოს ამბიონიდან გაისმა მიავრის ბოხი შეძახილი:

— გვაააკურთხე მკ-უ-ფეე-ოო!

ღვდელმა საკურთხevლიდან უპასუხა, მისი მიკნავებული ხმა გარეთ ძლივს-ძლიობით მოისმოდა და ლოტბარი უფრო ინსტიკტიურათ მიხვდებოდა ხოლმე გათავებას. მან შეიქნია ხელი და მგალობელთა დასმა ჩვეულებრივათ მიაძახა: „აამიინ“.

გალობდენ ძლიერ ზარმაცათ, ეცნეოდათ, რომ მათ ჯერ კიდევ არ გამოეძინათ, ტენორებს ხანდიხან ხრინწი წამოერეოდათ ხოლმე ხმაში, ხოლო ბოხი ხმები ძლივს აჩერებდენ ხმას თავის დროზე ერთათ ერთი ოქტავა იყო კაი პირობებში. მას უეჭველათ ან გამოუძინებლობა უწყობდა ხელს, ან ღამის ნაქეიფრობა. ის თავისუფლათ დაეშვებოდა ძირს და ტალღასავით გაიშლებოდა ტაძრის კედლებშუა.

ოქტავას მღეროდა კარგა მოზდილი ტანის, გძელი, ქაღარა თმიანი და დარბაისლურ წვერიანი ბერიკაცი, მას ტანზე ეცვა გახუნებული ნაცვეთი სერთუკი. ის გადაეყუდა კლიროსის მოაჯირს, ხელში რაღაც წიგნი ეჭირა. ლოტბარი ვერა ხედავდა წირვას, ის ხელმძღვანელობდა ხოლოთ მღვდელის და მთავარის ხმებით.

კლიროსის უკან იდგენ მლოცავნი. მათ ტანზე ეცვათ ცხვრის ტყავისაგან მკერილი ქურქები, ფარაჯები და ქალამნები. ამისთანა ადრეული წირვაზე საზოგადოთ დადის ხოლმე მხოლოთ მრევლის უღარიბესი ნაწილი; ისინი მტკიცე რწმენით და ბურუაში შეხვეულ აზრებით მოდიან აქ, რომ მიიღონ ერთგვარი სულის სიმშვიდე, კმაყოფილება.

— ძმაანოო! გაისმოდა ამბიონიდან მაღალი ტანის კაცის მკახე ხმა. მას გაეშალა ხელებზე დიდი წიგნი და გრგვინავდა ეკლესიის შუა.

„არამედ იქმნა მათგან და რქვა...“ სამოციქულოს კითხვის დროს მგალობლებს ეძლევათ თავისუფალი დრო და ისინიც ამ დროს გამოდიან ხოლმე გარეთ სალაპარაკოთ, პაპიროზის მოსაწევათ. ეხლაც მგალობელთა დასმა იხელა დრო და გ მოვიდა ეკლესიიდან. მივიდა მათთან ლოტბარიც — ჩაკრავებული ტანის და გადმოწეული მუცლიანი კაცი. „მორავიდეს იგი მისუნათ, აზმნობდეს წარსულთ ბითნიათ. და არა უტევა მათ სულმან უფლისამან...“

— საით დავეკარგო მე ეს შეჩვენებული? თქვა ლოტბარმა და გადაიქნია თავი ი! მხარისაკენ, საცა სამოციქულოს კითხულობდენ.

— რაო, თავი მოგაბეზრა? კითხა ვიღამაც ბოხი ხმით.

მოთმინება აღარა მაქვს! ეგ გაფუჭების მეტს არას აკეთებს. გახსოვთ ამ წინაზე ისე აჩქარდა, რომ ნოტები თავდაღმა დაიჭირა. დაიწყო პირველი „რე“, როდესაც იქ „რე“ კი არა პიანისიმო იყო.

— რას უზამ? უპასუხა ვიღამაც უმეოდოთ, საით წავიდეს. დაეცა კაკი და... დასუსტდა!..

— მერე ვინაა დამნაშავე? ნუ ღმერთო, ვისი ბრალია?

— არა, რას არა შვრება და! კაცს სტიხარი აცვია და დღისით ყველას წინ ფანრის ბოძებსა გლეჯავს! „მე კი არ დავივიწყე ქრისტე, ამბობს ის, არა, ქრისტემ დამივიწყა მეო“.

— ჰო, ეგ მართალია, ეს სასულიერო წოდება მაინც ბევრსა სვამს მეტადრე მთავრები. იშვიათად იქნება კაცი არ გალოთდეს, გალოთდება და მერე შევა მგალობლათ. ეს იმიტომ, რომ თვით მათი ცხოვრებაც ასეთია: ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა, დღეობა! სწორედ დაიღუპება ხასიათ სუსტი ადამიანი. მერე ვაჭრები? დახ ატარებ ასე დროს, მაგრამ მაინც ნაღველი და ნაღველი!

— ლოთობა ყველასა ღუპავს, დაუმატა ლოტბარმა სერიოზულად. აი თუნდ ურბანოვი აიღეთ. ორი კვირაა თვალით აღარ დამინახვებია ის ლოთი ცხვირი ისა. არა, განა ოხერი არ არის. ჩამივარდა ფეხებში, მეხვეწა, მემუდარა, აღარ დავლევო, ჩაიცვეს, დახურეს სამოწყალოთ ვაჭრებმა და აჰა ისევ!..

ლოტბარმა სიბრალულით გააქნია თავი და მოულოდნელად დაუმატა:

— სულ კისრის კვრით!..

— სანანურია! უპასუხეს მას, კაი ხმა აქვს მშვენიერი „სოლოა“.

— მე კი არ ვიცი? ნიჭიერია, მშვენიერი ხმა აქვს, საუცხოვო, გრძნობიერი, მაგრამ რას იქ, ლოთია? რას გააწყობ, უნდა მოვიშორო თავიდან. სხვა მაგის ადგილას, მაგის ხმით იცით რა კარიერას გაიკეთებდა? ეგ კი ლოთობაში ღევს თავის სიცოცხლეს! მე იმ საზიზღარს ეხლა კარებსაც არ გაუღებ თუ გაბედა და მოვიდა სათხოვნელად. მომწყინდა მისი ამგვარი ქცევა. არა, მაინც რაღაც უბედურებაა: კარგი მგალობელი ყოველთვის ლოთია ხოლმე.

— დღეს კი არ მოვიდეს წირვაზე?! ამბობენ გამოფხიზლდაო.

— თუ მოვა მაშინ შეგვიძლია „სინანული“ ვიგალობოთ. მე იმას გავწვრთნი.

— ცოტა სახიფათო კია, ხმა არ ჩაუწყდეს უცებ, ლოთობის შემდეგ...

— მერე ჩემი რა საქმეა, იცის ღმერთმა, უნდა იგალობოს კიდეც, არა და დეე იწანწალოს!

— იგალობებს, იგალობებს, დაუმატა ვიღამაც, ლოთობის შემდეგ უფრო კარგათ გალობს ხოლმე! მე მახსოვს ერთხელ ახლათ გამოფხიზლებულმა ისე კარგათ იგალობა „რამეთუ შეგცოდეთ შენ“, რომ ყველანი გავოცდით. გალობდა და თან სულ ცრემლები ჩამოდიოდა შეუწყვეტლივ.

ამათ ლაპარაკში ოდესღაც მთავარი და ახლა კი სამოციქულოს მკითხველი თანდათან უმაღლებდა ხმას. ის ავიდა უმწვერვალეს ჰანგამდე და უცებ ჩაუწყდა ხმა სწორედ ასო „დ“-ზე, რომელზედაც ვერ მოხარა ხმა ისე, როგორც უნდოდა. მას ეძნელებოდა თავისი დიდი ხმა შეეწყო ამ ბგერისათვის.

— შვიდობა შენდა! საყვედურის კილოთი უთხრა ღვდელმა, კიდევ რაღაცა წაუბურტყუნა გაჯავრებულმა და შებრუნდა ეკლესიაში.

პატარა მგალობელმა ნოტები ჩამოარიგა „ქერუბიმის“ საგალობლათ. აანთეს სანთლები, რომ უფრო კარგათ გაერჩიათ. მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებდა მგალობელთა სახეს. კლიროსს იქით კი ყველაფერი ბნელში იყო შეხვეული.

იქ სიბნელეში იდგა ხალხი, ტყაპუჭებით და მძიმეთა ოხრავდა. ეს ბრბო შეხვეული სიბნელეში მოჩანდა რაღაც გამოურკვეველ არსებათ, გამოუცნობელ აჩრდილათ თავისი ფიქრებით, გრძნობით და შეურყეველი სარწმუნოებით.

ქერუვიმთას საგალობელი ტალღასავით იშლებოდა ჰაერში.

მგალობელთა დასი თითქმის არა ჩანდა, ისე რომ კაცს ეგონებოდა ეს გალობა ეშვებოდა ძირს ეკლესიის გუმბათიდან; იქ თითქოს გალობდენ ანგელოზები. თითქოს იქიდან ვერცხლისფერ ფრთოსანი ანგელოზები გზავნიან ხალხისაკენ სიბნელეში რაღაც სასიამოვნოს, სასიხარულოს, წმიდასა და სპეტაკს.

ხალხი ჩუმათა ფურჩულებდა და ოხრავდა, კაცს ეგონებოდა სადაა მათ მაღლა გაირღვევა ფარდა და ეს სიბნელეში მდგარნი დაინახავენ სხვა ქვეყანას, ალსავსეს სიხარულით, სინათლის სხივებით, ვერცხლისფერ ტალღებით გადაფერილს და მშვენიერს ისე, როგორიც იყო ეს ხმაშეწყობილი გალობა.

მაგრამ ეკლესიაში იგივე სიბნელე, იგივე დაღვრემილება იდგა, ანგელოზთა გალობის ჰანგები ისევ ნელნელა ქრებოდენ ჰაერში, თითქოს ზევით ხალხის თავზე გადაიარა ციურმა პროცესიამ, რომელსაც არა აქვს უბედურ დედამიწაზე ადგილიო.

ისმის მთავრის ბოხი ხმა, კანკალით იძახის ბებერი ღვდელი ასამაღლებელს და უცებ ამ დროს დაიგრიალა ბოხმა ხმებმა:

„მეუფეო“...

მათ მიყვათ ერთი მეორეზე წმინდა ხმები, ისინი გადაიხლართენ ერთათ, შეთამაშდენ ჰაერში და წავიდენ ზევით გუმბათისაკენ თრთოლვით, როგორც პატარა პეპელები მზის სხივებზე.

ბოხი ხმები კი თანდათან ზევით ეწეოდენ, თანდათან უმატებდენ და გრგვინავდენ.

სიბნელე თანდათან იშლებოდა, მას ნელნელა ეპარებოდა სინათლე; გუმბათის ზევიდან პაწია სარკმელებში განთიადმა ჩამოაშუქა. ახლა უფრო შეიძლებოდა გაერჩია თვალს ეკლესიის შიგნით მორთულობა, ხალხი და მგალობლები. და რამდენათაც ირგვლივ ნათდებოდა, იმდენათ სინათლეს ეკარგებოდა თავისი დაღვრემილობა და იდუმალი ელფერი.

წირვა თავდებოდა. მგალობლები გალობდენ წყნარათ და სასოებით. ხალხში ხელების ქნევა მოჩანდა, ისინი პირჯვარს იწერდენ.

ამ დროს მგალობლებში შეერია გაუბედავათ ვიღაც კაცი ჩაცმული ძლიერ ღარიბულათ, ეს იყო გამხდარი, ცხოვრებისაგან გათელილი ადამიანი, პატარა წვერით ნიკაპზე და თხელი ხუჭუჭა თმით, რომელიც მხრებზე ჩამოშლოდა.

ეცნეოდა, რომ ოდესღაც ის ლამაზი იყო და თმაც უფრო ხშირი და ხუჭუჭი ქონდა. ტანზე მას ეცვა მიგლეჯილმოგლეჯილი პიჯაკი, წელზე შამოეხვია ხელსახოცი, ფეხებს უფარავდა დაგლეჯილივე პოლსაპოშკები. ის მორცხვათ დუნავდა თავს ძირს და რაღაც მოკრძალებით მალავდა გაყინულ ხელებს სახელოებში.

მგალობლებში ჩოჩქოლი ატყდა. „ურბანოვი“ მოისმა აქეთ-იქიდან ჩურჩული.

ლოტბარმა ზიზღით გადახედა მას, ისიც იდგა მგალობლების შუა მოკრუნჩხული, ყველასაგან და ვინ იცის იქნებ თავის თავისაგანაც მოძულებული იდგა გულზე ხელებ მიკრეფილი შესაბრალისი სახით...

მგალობელთა დასიდან გამოერჩიენ რამდენიმე და დაიჭირეს შუაგული ადგილი. ლოტბარმა ოდნავ მისცა ხელით ნიშანი. ურბანოვიც წადგა წინ.

— მონანიება! ჩუმათ წაუჩურჩულა ლოტბარმა და მისცა ხმა.

მგალობლები სულგანაბულები იდგენ. ლოტბარმა მძიმეთ გაშალა ხელები და მათაც დაიწყეს.

ბოხი ხმა შეწყობითა გუგუნებდა, ტენორი მეორეს აყო-

ლ ბდა, ხოლო მაღალ პირველ ტენორს ამბობდა მაწანწალა ახლათ მოსული.

იმასა ქონდა ნაზი, რბილი და თავისუფალი ხმა. გასაოცარი იყო, როდესაც ამისთანა ხმა მოისმოდა მთლათ გათელილი კაცის ჩავარდნილ გულიდან. ეს ნაზი ხმა ანკარა წყაროსავით ამორბოდა გულიდან, ხან ჩაიკვნესებდა ძირს ჩუჩუხით, მიქრებოდა, მიილეოდა და ხან კი ისევ წაიდოდა ზევით, ნელნელა გაიზდებოდა და გაქონდა წკრიალი, კაცი ვერ შეამჩნევდა, როგორ იბრუნებდა მგალობელი სულს, მისი ხმა შეუწყვეტლივ გადადიოდა ერთი ჰანგიდან მეორეზე.

ისინი გალობდენ „ტრიოს“.

ურბანოვი, გათელილი ურბანოვი, დამცირებული, დამნაშაესავით იდგა მკაცრი ლოტბარის წინ, რომელიც უყურებდა მას შიგ თვალებში და უქნევდა ხელს. მგალობლებს ამისთანა სურათზე ღიმილი მოსდიოდათ.

ურბანოვმა უკვე აუწია, მას მიყვა მკრგვინავი ბოხი ხმა, აუწია მეორემაც და ამ შეხავებულ ჰანგებში მაწანწალას ხმამ გაშალა გულის მომწყვლელი ნაღველი. ეს გადასცა მისმა ხმამ დანარჩენ მგალობლებსაც და ღიმილი გაქრა მათ ტუჩებიდან.

მლოცავნიც მთლათ სმენათ გადაიქცენ, ისინი იდგენ განაბულები, ამოსუნთქვისაც კი ეშინოდათ.

ურბანოვი კი ნელნელა წელშიაც იშლებოდა,ის მიჩერებოდა ეკლესიის გუმბათს და თითქოს არც კი ამჩნევდა დანარჩენ მგალობლებს თვითვე ინთქმებოდა თვის ხმების მელოდიაში. ასევე უყო მისმა ხმამ მსმენელთ, დაავიწყა დანარჩენი მასთან მგალობელნი, მაოლოთ მისმა ხმამ მიიზიდა მთელი სმენა მლოცველებისა.

ხალხში გმინვა მოისმა, გმინვა რამდენიმე კაცისა ერთათ შეერთებული გავნდა რაღაცნაირ საიდუმლო გოდებას, თითქოს ქარმა გადაუარა ჩაშავებულ ტყეს, რომელიც გულმოდგინეთ უგდებდა ყურს ამ საიდუმლო შრიალს, თითქოს საიდ ღამაც შორიდან წამოსული ტალღა მოაწყდა ნაპირს და ჩაკვდა, გაინაბა მის კიდეზეო.

ურბანოვის ხმა კი ისევ კვნესოდა, ტიროდა და აფრქვევდა ცრემლებს, როგორც ცოდვილი შენანიების დროს.

დიახ ეს იყო მწარე შენანიება იმისი, რომ სიცოცხლე უკვე დათქმულია, დაღუპული, მას ველარ მოეწევა, ის უკვე დაკარგულია, დაკარგულია ნიჭი, ის გასვრილია, გათელილია ლაფში, ტალახში.

ურბანოვის ხმის ქვითინი სწვდებოდა მსმენელთა გულსაც და მათშიაც იწვევდა იმავე ქვითინს იდუმალი ხმით. ეს სასოწარკვეთილი ხმა, ცემდა შეუბრალებლათ მსმენელთა სულის სიმებსაც, ხვდებოდა მათ როგორც ნაპერწკალი და ნაზათ ეშვებოდა მათ გრძნობაში თითქოს ზედ აფრქვევდა მათ უიმედო სასოწარკვეთილ ცრემლებს.

ურბანოვი კი იდგა ისევ გულხელ დაკრეფილი, მიჩერებული ეკლესიის გუმბათისკენ და მისი ხმა ნელნელა ქრებოდა ქვითინით ჰაერში.

მგალობელსა და მსმენელთა შორის თითქოს რაღაც საერთო ძაფი გაიბა...

მზის პირველი სხივები ოქროს სიმებივით გადმოეშვენ ეკლესიის პაწია სარკმელებში, მათ ოქროს ფერათ გააშუქეს მაწანწალა მგალობელის დაგლეჯილი ტანისამოსი, მკრთალი სახე და მისი ცრემლები, რომელნიც შეჩერებულიყვენ ნამებათ თვალებზე. მზეც თითქოს ალამაზებდა მას მგალობელთა და მლოცველთა შორის. თითქოს ტაძარში კიდევ გაისმოდა ურბანოვის ხმა. მსმენელნი ისე იდგენ განაბულები კარგა ხანს და იდუმალათ უგდებდენ ყურს ჰაერში გამქრალ ქვითინს.

ი.—ელი.

---

## ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲫᲜᲐ.

ორი წლის ყავდა ქეთო დედას. ეს პირველი შვილი იყო თებროსი. შავი თვალ-წარბი, თეთრი, ფუნაფუნა ფიფინა, მრცხალივით მალხაზი და მხიარული ის დედის კერპათ შექმნილიყო. „ცად გიკვარვარ, ცად?“ მოუქცევდა დედა ბავშვურათ და სიყვარულით აღგზნებულ თვალებით მიაშტერდებოდა ქეთოს.

—„აი ცადა!“ წამოიძახებდა ქეთო და ეშმაკური ღიმილით თვალებ დანაბული თავს უკან გადააგდებდა და პატარა თითით ყელზე აჩვენებდა. თებრო ბუმბულივით აიტაცებდა თავისს პატარას და ნაკეციან ღაღაბში მაგრათ, მაგრათ ჩაკოცნიდა.—„ამინო, ანა!“ ვითომ გაჯავრებული გაიძახოდა ქეთო და პატარა ხელებით ყელს იფარავდა.—„კი, კი, კი!“ ჩააცივდებოდა დედა და კიდე უფრო გაშმაგებით დაუწყებდა კოცნას. ქეთო გაექცევოდა დედას და გაბუტული კუთხეში აეტუზებოდა.

—„მაშ კარგი, აღარ მომეკარო; ჩემი შვილი არც ყოფილხარ და არცა ხარ!“ ვითომ გულმოსული იტყოდა თებრო და ზურგს შეაქცევდა. ქეთო ფეხაკრეფით, თვალებ გაბრწყინვებული მიეპარებოდა დედას და ყელზე მოეხვეოდა—„თებონა ტკვილათ, ტკვილათ, თებონა! აი კელი, აი კელი“, და ეშმაკურათ ხითხითს მოყვებოდა. შერიგდებოდა დედა-შვილი. ალერსით დაქანცული და სიყვარულით, უსაზღვრო სიყვარულით მთვრალი დედა სასოებით სავსე თვალებს მაღლა აღაპყრობდა და რაღაც უცნაურის გრძნობით, იმ გრძნობით, რომელიც მარტო ოდენ დედას ეკუთვნის, წარმოთქვამდა: „ღმერთო, ღმერთო!“.. ძნელი იყო გამოეცნო კაცს, თუ რა უნდოდა ეთქო თებროს ამ ორი სიტყვით, მადლობა იყო ეს განგებისადმი მიმართული, თუ დედის გული რაღაც საშინელ წინათ-გრძნობას შეეპყრო და ღმერთს მფარველათ იწვევდა, შველას თხოვდა.

—

კუკიის სასაფლავოს ერთ მხარეს, მაღლობ ადგილას, პატარა ეკლის ხის ძირში გაეთხარათ ქეთოს სამარე. მზე ჩასული იყო; ღღე სულს ლევდა და უკანასკნელ შებრძოლებასთან ერთათ უნდა დაელოცნა ბურთი და მოედანი ღამისთვის, აიკლოდა. ღღემ შეასრულა უკვე თავისი მოწოდება, ბინა. ნეტავი მას! ისედაც ყრუ და უენო სასაფლავო საშინელ სიჩუმეს მოეცო. სიკვდილს, საზიზღარ სიკვდილს შავი ფრთა გაეშალა და კიდით კიდემდე გადაფაროდა მას, თითქო ეშინოდა არავინ წამოდავებოდა, შეცილებოდა. იცავდა თავისს. სასაფლავოს პატარა ჭისკარმა ჭრიალი მოიღო და ეზოში თებრო შემოვიდა. მას აქეთ, რაც ქეთომ აქ გაიკეთა ბინა, დედა ღღე მუდამ ნახულობდა თავისს გოგონას. თებრომ კარგათ იცოდა ქეთოს საფლავი. აგერ მერვე თვე სრულდებოდა მას აქეთ, რაც შეუბრალებელმა სიკვდილმა გამოტაცა ქეთო მას ხელიდან, და ვინ იცის რამდენი ცრემლი დაღვრია თებროს აქ, რამდენი საშინელი ოხვრა აღმომხდარა დედის დათუთქულ გულიდან. თებრო დაადგა ვიწრო, გველივით დაკლაკნილ ბილიკს, გვერდით გაუარა უზარ-მაზარ მშვენიერ ძეგლს, რომლის გარშემო კარგა მოზრდილი მინდორი შემოეღობათ, გამოეყოთ დანარჩენ საფლავთაგან, განემარტებიათ; საიქიოსაც შერჩენოდა თავისი მიუკარებლობა. გადაიარა ვიღაცას გავერანებულ საფლავზე, შეუხვია მარცხნით და... თებროს წასკდა მწარე ქვითინი—ის ქეთოს საფლავთან იდგა. დედა დაეცა მუხლებზე, გაშალა ხელები, გადაეხვია და ჩაიკრა გულში ცივი სამარე. დიდხანს იყო თებრო ასე გაქვავებული—არც მოძრაობა, აღარც ხმა, არც ცრემლი. „ცად გიკვარვარ, დედა, ცადა“? ძველებურათ, როგორც ამ რვა თვის წინეთ შეეკითხა ის თავისს ძვირფას ქეთოს და თითქო პასუხს მოელისო, შედგა და სმენათ გადაიქცა. „ცადა, ცადა?“ განიმეორა მან უცნაური დაჟინებით. უცებ თებრომ მუცელში რაღაც ჩუჩონი იგრძნო,

რაღაც აინძრა და შეიტანა. თეთრი შეკრა, თავი მაღლა აიღო და ერთ წუთს ჩაფიქრდა. მთელ ტანში საამო ჟრუანტელმა დაუარა, სახე გაუბრწყინდა [illegible] თვალზე ცრემლი შეეშრა. ის ანგარიშ მიუცემლათ დაიხარა, საფლავს ტუჩით შეეხო და ზედ დაეკონა მაგრათ, მაგრათ ისე გრძნობით და ხანგრძლივათ, თითქო ეს უკანასკნელათ კოცნიდა მას კერპს, მის ძვირფას საფლავს; პირველი იყო ასეთი მხურვალე კოცნა. ბოლოს ის მარდათ წამოდგა, უკანასკნელათ გადახედა საყვარელ საფლავს და დაადგა იმ ბილიკს, რომელმაც იქ მიიყვანა.

—

მეორე დღეს არ უნახავთ თებრო სასაფლაოზე. არც მესამეს, არც ერთი კვირის შემდეგ, არც სულ. გავიდა დრო და თან გაყვა მას დედის ნაღველი და მწუხარება. „ცად გიკვარვარ, ცად?“ ენა მოჩლექით ეკითხებოდა თებრო თავის მეორე ქეთოს და ბედნიერებით და სიყვარულით აღსავსე მაგრათ იკრავდა გულში გოგონას.

პირიქზე.

---

## საზღვარგარეთ.

**საᲛᲮᲠᲔᲗ-ᲐᲤᲠᲘᲙᲐ.** ერთი ინგლისელი გაზეთის კორესპონდენტს დაეთვალიერებია კონცენტრაციული ბანაკები მიდლბურგში და ბელფასტში. მისი სიტყვით, ბურების ოჯახობათა უმეტესობა ცდილობს, რაც შეიძლება, ჩქარა დაბრუნდეს თავიანთ ფერმებში. წამსვლელთ ეძლევა ერთი თვის საგზალი. ბურები დიდი გაჭირვებით ბოლობენ თავის ოჯახების, რომელთაც გაუორდენ ომიანობის დროს. დაბრუნებული [illegible] შეუდგენ დანგრეულ ფერმების აღდგენას მარა ეოველგან მასალის სივიწროვეს გრძნობენ. გარდა ამისა მეუბნებენ ეფერმებს ცივი დარები. ამიტომ მოვრობა ურჩევს ბურების ოჯახებს—ნუ ჩქარობთ ფერმებში დაბრუნებასო. ეოველ ოდქში წესიერებას იცავს მზკერავი რაზმი. ქალაქში პასპორტს არა თხოულობენ, მარა სამხედრო სასამართლოები მაინც მოქმედებენ. ბრეტორიაში დაარსდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საბჭო, რომლის თავმჯდომარე ლორდი მილნერია.

**ინგლისი.** ფრანგულ გაზეთ „Matin“-ს ატეობინებენ ლონდონიდან ერთი ფრიათ სამარცხვინო ინცინდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა ვოდჩერსტერის სამსაჯულოში. ინდოეთში მსაჯულათ ეოფილმა უჩივლა მაღრასის გუბერნატორათ ნამეოფს სემაუნტსტიუარტ გრანტ დეეფს. მსაჯული უჩივის გუბერნატორს, რომ ის იეო წევრი საიდუმლო საზოგადოების, რომელიც აგენტებს ეიდგო. მუც დამოთხოვა სამსახურიდან, რომ ჩემი ადგილი სხვისთვის მიეეიდა.

მოსჩივანი ამტკიცებს, რომამ საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნოდენ ლორდ როზტსი, გრაფი კიმპერლეი, მარკიზ რაიბნუ და სხვა ცნობილნი პირნი.

საზოგადოება არაფერ ხერხს არ ერიდებოდა თავის მიზნის მისაღწევათ.

სამსაჯულოს თავმჯდომარემ გამოუცხადა მოსჩივანს—ჩემ კომპეტენციის აღეშტება ასეთი საქმის განხილვაო.

**საფრანგეთი.** ამ ბოლო დროს საფრანგეთში გამწვავებული ბრძოლაა რეაქციონერებს და რადიკალებს შორის. სხვა და სხვა მალული ძალები, როგორც მაგალითათ კრედიკალიზმი, დღემდის თითქმის არ იქცევდა მთავრობის ეურადღებას. ოპორტიუნისტების მთავრობა თითქო სრულიათ ვერ აშჩნევდა იმ გაცხარებულ მოქმედებას, რომელსაც ეწეოდენ სულ ეველა რეაქციონური ძალები. მათი პირველი მიზანი იეო რესპუბლიკის დამხობა და სამეფოს აღდგენა, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში მათი მისწრაფებანი უფრო აღვილი განსახორციელებელი იქნებოდა. მარა უკანასკნელ დროის ამბებმა გამოაფხიზლა ქვეყანა, კლერიკალიზმი მონარქიზმთან და ანტისემიტიზმთან ერთათ იმდენთ გაძლიერდა, რომ მიიქცა საერთო ეურადღება. ახლა სულ ეველა დემოკრატები შეკრბენ რესპუბლიკის გარშემო. სულ ეველა იცავს მას. ამით დაიწეო აშკარა და ცხარე ბრძოლა. სიბნელის შვილნი, სტიონალისტები, დიდ ამბავში იევენ. ქალაქ ბარიზის საბჭოში კიდეც გაიმართვენ. ბოლოს [illegible] ბლიკამ გაიმართვა და პირველი ნაეოფი ამ გამართვა [illegible] კერძური სამინისტროს შედგენა. ამ სამინისტროს პირველი დეეზი არის კლერიკალიზმის განადგურება, რესპუბლიკის მტრების ალაგმვა. საზოგადოთ ეოველ ქვეყანაში, სადაც კი მართველობა წარმოადგენლობითია, და მაშ თვით სამინისტროც ცვალებადია, იქ მოხელენიც ვერ არიან მყვიდრ ნიადაგზე. დღეს, ვთქვათ, ქვეყანას მართავს კონსერვატიული სამინისტრო. ისიც ცდილობს სულ ეველა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ადგილი ადმინისტრაციაში თუ სხვაგან მისცეს თავის მოამხრეებს, რომელნიც, რასაკვირველია, ეოველი დონისძიებით შეეძლიან ასეთ სამინისტროს. ხვალ კონსერვატორთა სამინისტრო დაემხო, გაჩნდა რადიკალური. ამას აუცილებლათ მოეყვება ეოველ ტოტოდნაი მნიშვნელოვანი ადგილებიდან კონსერვატორების დათხოვა და რადიკალების ჩაყენება. ამით, რასაკვირველია, მთავრობა ცდილობს ზურგი გაიმაგრონ, უფრო დამყვიდრდეს. საფრანგეთის დღევანდელ სამინისტროს თავმჯდომარესაც მიუმართავს ბრეფექტებისათვის ცირკულიარით, რომლითაც ის ატეობინებს მოხელეებს—მთავრობამ გადწყვიტა მოთხოვოს მოხელეებს რესპუბლიკისადმი თავდადებაო.

„ამოძრჩევლებმა, ამბობს ცირკულიარი, ეს არის გამორკვეულათ გამოთქვეს თავისი აზრი რესპუბლიკურ დწესებულებათა დაცვისა და მათი განვითარების სასარგებლოთ. კაბინეტსაც თავის მოვალეობათ მიაჩნია სავსებით დაემორჩილოს ამოძრჩევლებთა სურვილს. თქვენ დეპარტამენტში, თქვენ ბანო ბრეფეკტო, ხართ ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი და ამიტომაც ვალდებული ხართ ბოლიტიკური ზეგავლენა იქონიოთ სულ ეველა საშართველო დწესებულებაზე. მათ უფროსები შესაფერი ავტონომიით უნდა სარგებლობდენ საადმინისტრაციო საქმეების წარმოებაში, ხოლო იმავე დროს ვალდებულნი არიან შეეთანხმონ უმაღლეს ბოლიტიკურ მოსაზრებათ. ურთიერთ შეთანხმების შემდეგ მე და ჩემმა თანამოსამსახურეებმა გადავწეიტეთ, რომ ეოველი დანიშნა, ეოველი ამაღლება სახელმწიფო მოხელეებისა თქვენ დეპარტამენტში მოხდება მხოლოთ იმის შემდეგ, რაც თქვენ კანდიდატის შესახებ თავის აზრს წარმოადგენთ“. ამ ცირკულიარმა დიდი მითქმა-მოთქმა გაბოიწვია ბრესაში. რეაქციონური გაზეთები უსაუკეთურებენ სამინისტროს—ტერორს ქადაქებსო, შეიოხობის და ბეზღაობის განვითარებას ემსახურებაო. რადიკალური გაზეთები კი კმაეოფილი არიან კომბის ცირკულიარით ხოლო ისინი დასძენენ—საჭირო იეო თვით არა ერთი ბრეფექტის დათხოვა, რადგან უკანასკნელ არჩევნების დროს ბევრმა მათგანმა რესპუბლიკის მტრებს მოუწეო ხელი. გაზეთების აზრით, კომბის სამინისტროს აზრათ აქვს გაწმინდოს სამინისტროს ორგულებისგან არა მარტო მოხელეთა ჯგუფი, არამედ საფრანგეთის საზღვარგარეთელი დიპლომატიაც. დღემდის დიდ სახელმწიფოების ხატახტო ქალაქებში საფრანგეთს წარმომადგენელთა ეადა არისტოკრატიული გვარების ეკვრები, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მტრულის თვალით უცქერენ რესპუბლიკას, ზოგიერთი ელჩები ისე მოეპურენ კონგრეგაციების შესახებ გამოცემულ კანონს, რომ აშკარათ ჩნდა, რომ ისინი რესპუბლიკის წარმომადგენელი კი არ იევენ, არამედ ბერების ორდენებისა. ამიტომაც, როგორც ამბობენ, კომბის სამინისტროს გადაუწეეტია საფრანგეთის დიპლომატიური კორპუსის შედგენილობა შეცვალოს.

---

## ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ჩვენში შემოიღეს საფაბრიკო ინსპექციის ინსტიტუტი. თქმა არ უნდა, ამას შემდეგ მექარხნეები ასე თუ ისე იგრძნობენ ძალას, რომელიც აიძულებს მათ ის კანონები მაინც არ დაარღვიონ, რომელნიც დღემდის არსებობენ. თუ რამდენათ ცუდი პირობები. იყო დღემდის ამისსურათს გვიხატავს ბ. სეგალი

„Черном. В.“-ში.

„რკინის გზის გაკეთებამ და საბორტო და საქარხნო საქმეების განვითარებამ გამოიწვია ის მოგლეჯა, რომ უკანასკნელ ხანებში ბათომს მოაწყდა აურაცხელი მუშა. მწარმოებლებმა საჭიროთ აგვეს კარვები, რომელშიაც დროებით უნდა მოთავსებულიყვნენ მუშები. მარა სამწუხაროთ ბატრონებმა ეს დროებითი ბინები სამუდამოთ აქციეს, უეურადღებოთ დატოვეს ის მოგლეჯა, რომ ამ შენობებს მუშებზე მეტათ ცუდი, გამანადგურებელი გავლენა აქვს და ან კი რატომ არ მოიქცევიდენ ასე, როცა ეს შენობები მათ დიდ სარგებლობას აძლევდენ. ხსენებული კარვები მეტათ სადა შენობებია: ფიცრებისაგან შეკრული, დაბალი, ბნელი, პაწაწა თოვლებთ დანაწილებული, ისინი უფრო საჯინიბეს მოგაგონებენ, ვიდრე ადამიანის ბინას. იატაკი უმეტესათ ასეთ კარვებში ბირდაბირ მიწაზეა დაგებული, ჭერი ჩამოხეულია, კედელი ძველებული. ოფლიანი საშინელი სიდამშეტე, დიდი ჯუჯრუტანები. ზოგ სახლში იატაკი მიწისაა, ან და რამდენიმე გოჯით დაბლაა ეზოზე, ასე რომ სახლში შემოდის წყალი. არც ქვის შენობებია უკეთეს მდგომარეობაში, ხშირათ უფანჯრო, ასე რომ ისინი უფრო ეუთებს მოგაგონებენ.

ასეთი საცოდავი ქოხმახები დაფანტულია მთელ ქალაქში, უმეტესათ კი საქარხნო უბნებში. ამ უბნებში ცხოვრობს [illegible]ოჯახებით 3000-დე მუშა. კიდევ უარეს მდგომარეობაში არიან უბრალო მუშები, რომელნიც ბინაკდებიან, სადაც კი მიახელებენ: ნესტიან, ცივ და ბნელ სარდაფებში, ან და სხვენებზე. ცხოვრობენ ძეტათ ძვირადოთ. იქ, სადაც ორ ადამიანს შეუძლია მოთავსდეს, ცხოვრობს ხუთი, შვიდი, ცხრა კაცი, ძინავთ იატაკებზე და ოა გასაკვირვია, ასეთ პირობებში უჩნდებათ დამპალი ციება, განსაკუთრებით ბავშვებს.

კანონი მოითხოვს, რომ ყოველ ადამიანზე ბინაში იყოს არა ნაკლებ 1,45 კუბ. საჟ. ჰაერის, გაზომვამ კი დაგვანახვა, რომ ბათომის ბინებში ადამიანზე მოდის ერთა შვა სულ 0,4 კუბ. საჟენი. დიდი ფირმების ქარხნებში შენობები არაფრათ არ განირჩევიან ზემოთ აწერილისაგან. არ შეგვიძლია აქეე არ გავიხსენიოთ, რომ ბინის ქირა ბათომში მეტათ საგრძნობელია: პაპაწა ოთახში თვეში იხდით 6-7 მ. ასეთი შენობების პატრონები დიდ ფულს იღებენ მუშებისაგან. მაგ. „პატრონს ცხრა ოთახიან შენობის აკება დაუჯდა 2000 მ., ასეთ შენობაში ცხოვრობს 60-დე კაცი და იხდის 720 მ. წელიწადში, რაც შეადგენს წლიურათ 36% დახარჯულ თანხისა. ამ ნაირათ სამ წელიწადს სახლის შენებაში დახარჯულ თანხას აბრუნებს. არა უკეთეს მდგომარ ეობაშია თვით ქარხნებიც ძველი შენობები უფრო ძველებურ სეფას მოგაგონებენ. ქარხნებში ხშირათ მუშაობენ ბავშვები, რომელნიც ათი წლიდან დიდებთან ერთათ მუშაობენ; თკოთ სამუშაო კი წარმოუდგენელ ანტიჰიგიენურ პირობებშია მოწყობილი“.

---

## გულმავიწყობა თუ უმადურობა.

ქუთაისისსაადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებების ანგარიშმა გვაუწყა ერთი მეტათ სიმპატიური გადაწყვეტილება ამ კრებისა; მე მოგახსენებთ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა დაჯილდოების შესახებ. კრებამ მიანდო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს წარმოადგინა ანგარიში, თუ ვის რამდენი ჯილდო უნდა მიეცემოდა. კომიტეტმა წარმოადგინა პროექტი, რომლითაც ვისაც 5 წელი უმსახურია სკოლაში, მას უნდა მიეცემოდა ერთი თვის ჯამაგირი, ვისაც 10 წ.—2 თვის ჯამაგირი, ვისაც 15 წ.—3 თვის, ვისაც 20—4 თვის და ვისაც 20 წ. შეტი—მას —6 თვის. მთელმა ჯამმა შეადგინა 4000 მან. პროექტი კრების მიერ მიღებულ იქნა, ეს მოხდა 5 ივნისს., 14-ს-კი მასწავლებლებს დურიგდათ ჯილდოები. „ცნობის ფურცლის“ სიტყვით ყველაზე მეტი ჯილდო მიიღო ს. გ. ეიფიანმა (610 მ,), ეგ ს. ხუნდაძემ (500 მ.), თ. მთავრიშვილმა და ს. დოლუაძემ (თითო 480 მ.). ი. ნიკოლაიშვილმა 325 მ. და სხვ... დაჯილდოებული — „ითქმის ორივე დარჩენილა“ („ცნ. ფ.“ № 1841). ბ-ნი ს. გ. ეიფიანი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურებს 2 თუ 3 წელიწადს, მაშ მას ჩაუთვალეს სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში სამსახური, სენაკის სკოლაში სამსახური ჩათვლია აგრეთვე ბ-ნ ი. ნიკოლაიშვილსაც, რომელიც, როგორც ვიცით, დიდი ხანი არ არის, რაც გადაყვანილ იქნა ქუთაისის სკოლაში. კეთილი და პატიოსანი. ეს, რასაკვირველია, ასე უნდა მოხდარიყო. დიდი უსამართლობა იქნებოდა, არ მიეღოთ მხედველობაში მასწავლებელთა სამსახური სენაკის სკოლაში და ჯილდო დაენიშნათ მხოლოთ ქუთაისის სკოლაში სამსახური წლების მიხედვით. ამ მხრით მართალია, რომ სამართლიანია ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის პროექტი, რომელიც დამტკიცებულ იქნა კრების მიერ, მარა მეორე მხრით მეტათ უსამართლოთ მიმაჩნია ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ კომიტეტმა კრებისადმი წარდგენილ პროექტში სრულიათ უეურადღებოთ დატოვა ის მასწავლებელნი, რომლებმაც თავის ახალგაზრდობა სენაკის სკოლის საამსახურს შეალიეს და რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ამ სკოლიდან გამოვიდენ. აი, ეს მასწავლებელნი, რომლებმაც 10, 15, 18 წელს ემსახურენ სკოლას და სასურველ ნაადგზე დაამკვიდრეს ის,—მიგვიწვებულ იქნენ კომიტეტის მიერ! მართალია ეს მასწავლებელნი დღეს არ მსახურებენ სათავად-აზნაურო სკოლაში, მარა ის შრომა, ის ხანგრძლივი დვწლი, რაც მათ სენაკის სათავად-ზნაურო სკოლის წინაშე მაქვთ, ცხადია და ნათელი. აქ თავის მართლება, რომ დღეს ისინი სათავად-აზნაურო სკოლაში არ მსახურებენ, ვერ არის საფუძვლიანი. ვერც ის იქნება ეჭვს მოკლებული თავის მართლება, რომ გვითხრან: ბ-ნი სიკოლაიშვილიც რომ ამ მასწავლებელთა რიცხვში იყო, მარა რადგან ის დღეს სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურებს, აგი ჩვენთვალეთ სენაკის სკოლაში სამსახური და შევეცით ჯილდო. მარა საკვირველია ის მასწავლებელნი, რომელნიც ახლა სათავად-აზნაურო სკოლაში არ მსახურებენ! თვით სათავად-აზნაურო სკოლაში ზოგიერთი მოსამსახურე მასწავლებელნიც კისადმ გაბოროტებულ იქნენ ჯილდოს მიღებაში, რომ კრებას მიეღო თ-დ კირილე ლორთქიფანიძის წინადადება: „ეხლა სათავად-აზნაურო სკოლაში ხუთ-ექვს კაცამდე იქნება, რომელთაც 20 წელი უმსახურიათ... აი ამათ ეხლავე ეჭირვებათ დახმარება, თორემ კაისამდის ეს კაცები იქნება კიდეც დაიხოტონო“.. („ცნ. ფ.“ № 1836). ვოქვათ, რომ თ-დ კირილეს წინადადებით ბ-ნ სამსონ ეიფიანს და კიდევ 4 კაცს ერგებოდა ჯილდო; მარა სხვებმა, ვისაც 7, 10, 15, 19 წელი უმსახურია,—ვის რა ვირი მოპარეს!

საკვირველია, მთელ კრებაზე არ აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც კრიტიკულის თვალით შეეხედა სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის მიერ წარდგენილ პროექტისათვის და მოეგონებინა კრებისათვის, რომ არიან ისეთი მასწავლებელნიც, რომელნიც თუმცა ახლა არ მსახურებენ სათავად-აზნაურო სკოლაში, მარა მათი ხანგრძლივი სამსახური, მათი დვწლი სათავად-აზნაურო სკოლისადმი თვალსაჩინოა და მიექცეს მათაც ეურადღებაო! მარა შესაძლებელია კრების წევრებს არ ეოდნოდათ ეს გარემოება, ან და თუ იცოდენ, გადაეგიწყათ კრებაზე, მარა სკოლის კომიტეტს, პროექტის შემდგენ კომიტეტს ეს ხომ ძალიან კარგათ ეცოდინებოდა! მაშ რათ მიმალეს ეს გარემოება! აქ გულმავიწყობა ჩანს თუ უმადურობა! ამაზე პასუხის მიგება მეითხოვლისთვის მიგვინდეა... ჩვენი წერილის მიზანი კი ის არის, რომ ამ ფაქტზე მივაქციოთ მეითხოვლის ეურადღება და მაუთითოთ იმაზე, თუ ჩვენი მოდგაწენი რამდენათ მიუდგომელნი არიან.

ჯ. გ-ძე

---

## ადამიანის უჩინარი მტრები.

### II

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მეცნიერება ბაქტერიებს მცენარეთა გვარს აკუთვნის. ბაქტერიებს გარდა გადამდებ სნეულებას აჩენენ სხვა და სხვა სოკოები, ხოლო ეს სოკოები მარტო სახელით გვანან ჩვეულებრივ ტყის სოკოს, სხვით არაფრით. გადამდებ სნეულებათა სოკო პატარა უჯრედია, რომელსაც მხოლოთ მიკროსკოპის შემწეობით თუ დაინახავს ადამიანი. ქაჩალი უათუოთ ყოველ მკითხველს ენახვება ან ეცოდინება. კარგა ხანია, დამტკიცებულია, რომ ქაჩალს ერთგვარი სოკო აჩენს. ეს სოკოებიც, როგორც ბაქტერიები მცენარეთა გვარს ეკუთვნიან, მაგრამ სხვა და სხვა სნეულებას ისეთი მიკროორგანიზმებიც იწვევენ, რომლებიც ცხოველთა სამეფოს წევრნი არიან. ყველა ეს მიკრობები, როგორც მცენარეთა ისე ცხოველთა სამეფოს წარმომადგენელნი, პატარა ერთ უჯრედიან *) არსებას წარმოადგენენ. ყოველი ბაქტერია ან ცალკე ცხოვრობს განკერძოვებულათ, ან სხვებთან ერთათ, ამგვარათ ინდივიდუალისტები და სოციალისტები ბაქტერიებშიაც კი ყოფილან! ზოგ ბაქტერიას რგვალი ტანი აქვს, მიკროსკოპში რომ ხედავთ, დიდ წერტილს მოგაგონებსთ; ასეთ ბაქტერიებს coccus-ს ეძახიან; ზოგი პატარა ჩხირს მოგაგონებთ; ამათ bacillus-ს ეძახიან, ე. ი. პატარა ჯოხს-ჩხირს; ზოგი კი ჭახრაკივით, სპირალივით არის დახვეული; მათ უწოდებენ Spirillum-ს. პირველებს ჩვენც კოკი დავარქვათ, მეორეს ბაცილა და უკანასკნელებს სპირილები. დასნეულებულ ალაგას ერთსა და ორს ბაქტერიას ვერასოდეს ვერ ნახავთ; ასეთ ალაგას ბაქტერიები ძლიერობით იყრიან თავს. ბაქტერიების ასეთ გროვას უწოდებენ კოლონიას. სხვა და სხვა გვარი ბაქტერიები სხვა და სხვა სახის კოლონიებს აკეთებენ, რაშიდაც ადვილათ დარწმუნდებით მიკროსკოპის შემწეობით: ზოგი ბაქტერიები წეროებსავით გაემწკრივებიან ხოლმე ხაზებათ, ზოგი წრეებათ შეჯგუფდებიან ხოლმე და ბურთის მზგავს კოლონიას აკეთებენ, ზოგი ოვაკუთხედს და სხვა. ხოლო ყოველი ბაქტერია უმეტეს ნაწილათ ერთი და იგივე გარეგანი სახის კოლონიას აკეთებს, ისე რომ მარტო კოლონიის მიხედვით ხშირათ შეგიძლიათ გამოიცნოთ, რომელ ბაქტერიას ეკუთვნის ის. კოლონიები იმხელა იზრდებიან, როდესაც ბაქტერიებს ხელოვნურათ ამოავლებენ, რომ უმიკროსკოპოთ შეგიძლიათ, შვენიერათ გაარჩიოთ. ბაქტერიის ტანი შედგება გარსისაგან, რომელიც ზოგ ბაქტერიას იმდენათ თხელი აქვს, რომ დანარჩენი ტანისაგან ვერ გაარჩევთ, და პროტოპლაზმატიური სითხისაგან. ზოგ ბაქტერიებს ერთ ბოლოზე აქვს პატარ-პატარა ულვაშები, რომლებიც შველიან ბაქტერიას მოძრაობისა და საზრდოს ძებნის დროს. ამიტომ ასეთი ულვაშები ყველა მოძრავ ბაქტერიასა აქვს, რადგანაც უმათოთ მოძრაობა არ შეუძლია. არიან ისეთი ბაქტერიებიც, რომლებიც არ მოძრაობენ; მათ უმეტეს ნაწილათ ულვაშები არ გააჩნიათ, რადგანაც მათში არ საჭიროებენ.

ბაქტერიის მთელი ცხოვრება საზრდოობაში და გამრავლებაში გამოიხატება; გარდა ამისა ზოგი მათგანი მოძრაობს, სხვები კი კუტები არიან. ბაქტერია თუ მაძღარია, მრავლდება და მეტს არას დაეძებს: სრული ბედნიერია. ნეტავი იმას, რა მცირე მოთხოვნილება ქონიაო, გაიფიქრებს ზოგიერთი მკითხველი, მაგრამ ნუ აჩქარდებით: ბაქტერიას იმდენივე [illegible] ისეთივე მოთხოვნილება აქვს, რაც კაცობრიობის უმეტეს [illegible] ილს: გაამძღეთ ადამიანი, მიეცით მას ოჯახი და უმეტეს [illegible] სეძთხვევაში მეტს აღარას მოგთხოვსთ,—სრული კმაყოფილი იქნება; გონებრივი ინტერესები, ზნეობრივათ ამაღლება, მოყვასთა სიყვარული, საერთო კეთილდღეობისათვის ზრუნვა—დღეს თუ საჩიჩინოთ გაგვხდომია, მაშინ ხომ სულაც აღარ გაახსენდება,— მეტადრე ქართველ ადამიანს. იმ ალაგიდან, სადაც ბაქტერია დაიბინავებს, ის იღებს სხვა-და-სხვა მასაზრდოებელ ნივთიერებას, რაც კი საჭიროა იმისი ზრდისა და არსებობისათვის და გამრავლებისათვის. როდესაც ცხოველი საზრდოობს, უვარგის ნაწილებს ის ისევ ტანიდან იცილებს, მიღებულ საჭმლიდან კი საზრდოობის გარდა ის ამზადებს სხვა და-სხვა ნივთიერებას, რომელიც საჭიროა ან მისი შემდეგი არსებობისათვის, ან გამრავლებისათვის. ამ გვარათვე იქცევა ბაქტერია. საზრდოს უვარგის ნაწილებს ის მალე იცილებს. მიღებულ საზრდოს შემწეობით ის იზრდება, ცოცხლობს, მრავლდება და გარდა ამისა ამზადებს სხვა-და-სხვა ნივთიერებას, რომლებიც ხშირათ საშინელ შხამს წარმოადგენენ როგორც ადამიანის, ისე ბევრი სხვა ცხოველისა და მცენარის ტანისათვის. ზოგიერთი ბაქტერია მარტო მკვდარი მატერიით საზრდოობს. მკვდარ ცხოველზე ცხოვრობს, ხრწნის და ალპობს მას. სხვა ბაქტერიები კი მხოლოთ ცოცხალ სხეულში ბუდობენ და აჩენენ მასში სხვა-და-სხვა სნეულებას. ამათ გარდა არიან ისეთი ბაქტერიებიც, რომლებიც ცოცხალი ადამიანის განუყრელ სტუმრებს შეადგენენ, მაგრამ არა თუ სხვა-და-სხვა სნეულებით არ უხდიან მას მასპინძლობისათვის, ზოგიერთი მეცნიერი და მათშორის პასტერის აზრით კიდეც ეხმარებიან მის ჯანმრთელობას. ამგვარი ბაქტერიები ბევრია ადამიანის პირში. ჩვენი პირი უშველებელ სამფლობელოს წარმოადგენს, რომელშიაც თავისუფლათ ცხოვრობენ, საზრდოობენ და მრავლდებიან სხვა-და-სხვა უწყინარი ბაქტერიები. პასტერის აზრით ეს ბაქტერიები შეერევიან ხოლმე საჭმელში, ჩაყვებიან მას კუჭში და საძმლის მონელებას აადვილებენ, თუმცა თვითონაც კუჭის წვენის მსხვერპლი ხდებიან. ამგვარათ მოყვასისათვის თავგანწირვას ბაქტერია ერთგულათ ასრულებს. ადამიანს კი დიდი ხანია, დავიწყებია ეს.

ბაქტერიის ცხოვრებისა და გამრავლებისათვის მარტო საზრდო არ არის საკმარისი, საჭიროა აგრეთვე ზომიერი სინოტივე და სითბო იმ საზრდოსი, რომელზედაც ბაქტერია ცხოვრობს. თუ საზრდო გააშრეთ და სითბოსაც მოუკლით, ბაქტერია მაშინათვე არ მოკვდება, კიდევ იცოცხლებს რამოდენიმე ხანს, შეიძლება შეეგუოს კიდევ შეცვლილ პირობებს და დიდხანსაც იცოცხლოს, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ასეთ პირობებში ზრდასა და გამრავლებას ვეღარ შესძლებს. საზრდოს ამორჩევა ბაქტერიამაც იცის. თუ მას ორგვარი საზრდო აქვს,—ერთი ადვილი მოსანელებელი, მეორე კი უფრო ძნელი, ბაქტერია ჯერ პირველს გამოლევს და მხოლოთ მაშინ მიყოფს ხელს მეორეს. რადგანაც თხელ საზრდოში გახსნილია სხვა-და-სხვა ნივთიერება, რომლებიც საჭირო არიან ბაქტერიისათვის, ამიტომ საუკეთესო საზრდოს მისთვის სხვა-და-სხვა სითხე შეადგენს. მაგრამ თხელი საზრდო თუ არ ექნა, ბაქტერია მაინც არ მოკვდება შიმშილით; ის ამზადებს სხვა-და-სხვა ფერმენტებს, რომელთა შემწეობითაც ხსნის და ინელებს მაგარ ნივთიერებასაც; ამიტომ ბაქტერია საუცხოვოთ მრავლდება ისეთ ნიადაგზედაც, სადაც თითქოს ძალიან ცუდი საზრდო მოიპოვება. მხოლოთ ერთი გარემოებისთვის დღემდის ვერა მოუხერხებიათრა ბაქტერიებს: მათ ჭირივით ეჯავრებათ ყოველ გვარი სიმჟავე; თუ საზრდო მჟავე შეხვდა, ბაქტერია მალე ჩამოყრის ხოლმე ყურებს, მოიწყენს, ცოტას ჭამს, ნაკლებათ მრავლდება, ან სულ აღარა აქვს შთამოების დატოვების დარდი. როგორც უკვე მოვიხსენიეთ მეცნიერების უმეტეს ნაწილს ბაქტერიები მცენარეებათ მიაჩნია. მცენარეებს საზოგადოთ ერთი თვისება აქვთ: მათ შეუძლიათ ჰაერიდან საზრდოს მოპოვება და ჰაერის მარტივ ნივთიერებათაგან რთული ნახშირბადიან და აზოტიან ნივთიერებათა შედგენა. ამ სინტეტიურ შრომას მცენარე ასრულებს თავისი ერთგვარი ნივთიე-

რების შემწეობით, რომელსაც ხლოროფილი ქვია და რომელიც აძლევს მცენარეს მწვანე ფერს. ბაქტერიები კი ხლოროფილს მოკლებული არიან და ამიტომ ჰაერიდან საზრდოს გამოკრეფა მათ სრულებით არ შეუძლიათ. ბაქტერიისათვის ფრიათ საჭიროა ნახშირბადი, აზოტი და მჟავბადი. აზოტსა და ნახშირბადს ბაქტერია ართმევს იმ ცხოველის უჯრედებს, რომლის ტანშიდაც ცხოვრობს. მჟავბადს კი ბაქტერია უმეტესნაწილათ ჰაერიდან იღებს. ყოველგვარი ბაქტერიისათვის ერთნაირათ არ არის საჭირო მჟავბადი. არიან ისეთი ბაქტერიები, რომლებსაც უმჟავბადოთ არსებობა არ შეუძლიათ; არიან ისეთიც, რომლებისთვისაც მჟავბადი არავითარ საჭიროებას არ შეადგენს; მაგრამ არიან ისეთი ბაქტერიებიც, რომლებსაც მხოლოთ უმჟავბადოთ შეუძლიათ არსებობა, საზრდოობა და გამრავლება, ამ უკანასკნელებს უწოდებენ ანაერობებს. ხოლო პირველთ, რომლებისთვისაც მჟავბადი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, — აერობებს.

## III.

როგორც უკვე მოვიხსენეთ, ერთ ერთ აუცილებელ პირობას ბაქტერიების არსებობისა და გამრავლებისათვის საჭირო სითბო შეადგენს. ზოგი ბაქტერია მეტ სითბოს ითხოვს, ზოგი ნაკლებს, როგორც ზემოთა ვთქვით. ზოგი ბაქტერიები მხოლოთ ცოცხალ არსებაში ცხოვრობენ, ზოგი კი მკვდარ ცხოველშიაც შვენივრათა გრძნობს თავის თავს. ამიტომ აშკარაა, პირველი რიგის ბაქტერიებისათვის დაახლოვებით იმდენი სითბოა საჭირო, რამდენიც ადამიანის და სხვა თბილ სისხლიანი ცხოველების ტანსა აქვს, ე. ი. 35°—40°C. მეორე რიგის ბაქტერიებისათვის კი სრულებით საკმარისია 20°C. თუ სითბომ ცოტა მოიმატა ან ცოტა მოიკლო, ბაქტერიებს მაინც არა უშავთ რა: ისინი მალე ეჩვევიან ცოტა მეტ ან ნაკლებ სითბოს, მაგრამ თუ სითბომ ძალიან მოიმატა, მაგ. 60° და მეტზე ავიდა, ბაქტერია ველარ გაძლებს და მოკვდება; ასევე მოქმედებს ნამეტანი სიცივეც. როგორც ყველგან, გამონაკლი აქაც არის: ზოგი ერთი ბაქტერია 70° სითბოშიაც კი ცოცხლობს და მრავლდება, თუ კი რომ მჟავე საზრდო არ შეხვდა. გაცილებით მეტ სითბოს და სიცივეს იტანენ ბაცილების სპორები ანუ კვერცხები, რომლებიც 12°C. კი უძლებენ. მხოლოთ 150°C-ში არც ერთი ბაქტერიის სპორები ველარ ძლებენ და სამუდამოთ კვდებიან. სიცივეს ბაქტერიები უფრო იტანენ, ვიდრე სიცხეს; ბევრი ბაქტერია 0°C-ში ცოცხლობს და სიცივე რომ —30, —40 და —100° დეც დასწიოთ, ზოგი ბაქტერია მაინც არა კვდება.

ბაქტერიას საშინლათა ძულს სინათლე, ის სიბნელეს ეტრფის. მზის შუქი მისთვის მაწყინარია. ამ მხრივ ბაქტერია ძალიანა გავს ჯავახელ გლეხ-კაცს; ჯავახელ გლეხსაც ჭირივით ეჯავრება სინათლე და, როდესაც სახლს აშენებს, ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ მზის შუქმა არსაიდან შემოატანოს. ზოგიერთ ბაქტერიას მზის შუქი კლავს, რაც დამტკიცებულია მრავალგვარი ცდით. როგორ მრავლდება ბაქტერია? ბაქტერია მრავლდება ორ გვარათ: ან ისე, როგორც ყოველი ცოცხალი უჯრედი, — გაიყოფა ორათ და თვითოეული ნახევარი რამოდენიმე ხნის შემდეგ სრულ ბაქტერიათ გადიქცევა; ან ამზადებს თავის ტანში სპორებს ანუ კვერცხუკებს, რომლებიც ცედის ტანიდან გამოსვლის შემდეგ ბაქტერიებათ გადიქცევიან ხოლმე. ზოგი ბაქტერია ორივე გვარათ მრავლდება, ხან შუა შუა იყოფა, ხან სპორებს ამზადებს; ზოგი კი მარტო ერთ გვარათ, — ან შუა გაყოფით, ან სპორების შემწეობით. მაშინ როდესაც შუა გაყოფით გამრავლება ყოველ ბაქტერიას შეუძლია, სპორების მომზადება მხოლოთ ზოგიერთი ბაქტერიის თვისებას შეადგენს. რადგანაც სპორების შემწეობით გამრავლება უფრო უახლოვდება ფრინველთა და ცხოველთა გამრავლების წესს, ამიტომ აშკარაა, ის ბაქტერიები, რომლებსაც შეუძლიათ სპორების მომზადება, განვითარების საფეხურზე უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ის ბაქტერიები, რომლებსაც ეს თვისაც ბუნებას მხოლოთ შუა გაყოფით გამრავლებისა ბრძანია. თუ საზრდო ბევრია, სინოტივე და სითბო საკმარისი, მაშინ ახალ გაზრდა ბაქტერიები საშინელი სისწრაფით მრავლდებიან შუა გაყოფით. თუ ბაქტერიები ცოტა ხნიერნი არიან, საზრდო ნაკლებია აქვთ, სინოტივე და სითბო ძალიან ცოტა, მაშინ ვისაც შეუძლია, სპორებს ამზადებს, ვისაც ამის ნიჭი არ დაყოლია, იძულებულია, შეურიდეს თავის ხეკრს და უშეილ-ძიროთ გადვიდეს ამ ქვეყნიდან. შუაზე გაყოფას ბაქტერია ანდომებს რამოდენიმე წამიდან მოკიდებული ერთ საათამდე. ყოველი ბაქტერიისათვის ორათ გაყოფის საშუალო დროთ ერთი საათიც რომ მივიღოთ, მაშინაც კი გასაოცრათ გვეჩვენება ბაქტერიის გამრავლება: ერთი საათის შემდეგ ერთი ბაქტერია ორათ გადიქცევა, ორი საათის შემდეგ ოთხათ, სამი საათის შემდეგ რვათ და ასე რომ გამოიანგარიშოთ ლოგარითმების შემწეობით, ოცდათხი საათის განმავლობაში ერთი ბაქტერია დატოვებს თითქმის 17 მილიონ ბაქტერიას! რამდენილა უნდა დატოვოს იმ ბაქტერიამ, რომელიც შუა გაყოფას ერთ საათს კი არა რამოდენიმე წამს ანდომებს?

ყოველივე ეს ფანტაზია კი არ არის, მკითხველო, ნამდვილი ფაქტია, რომელიც ბუნებაში არსებობს და რომლის არსებობაც მრავალგვარი ცდითა და დაკვირვებით არის დამტკიცებული. საზოგადოთ რაც უფრო განვითარების დაბალ საფეხურზე დგას რომელიმე ცხოველი, მით უფრო სწრაფათ მრავდება და ბევრს შთამოებას ტოვებს- ადლეთ იმდენათ განვითარებული ცხოველი, როგორიც არის თევზი, კიბო, ბაყაყი. ყოველწლობით თვითოეული მათგანი მილიონობით ყრის ქვირითს; თითო ქვირითიდან ხომ თითო არსება უნდა გამოვიდეს! სამოცდაათ წლებში პასტერმა პირველათ შენიშნა, რომ ზოგიერთი ბაქტერიების ტანში ჩნდებოდენ პატარა რგვალი სორსლები, იზრდებოდენ, ტოვებდენ ბაქტერიებს და თავისუფლათ დაცურავდენ მასაზრდოებელ სითხეში; თუ სითხე გაშრებოდა, ეს რგვალი სორსლები ჰაერს აჰყვებოდენ, თუ საზრდოსა და სითბოს საკმარისათ მოიპოვებდენ, თითქოს გაიღვიძებენ, დაიწყებდენ ზრდას, მალე მთელ ბაქტერიათ გადიქცეოდენ. ეს პატარა სორსალი არის სპორა, ანუ კვერცხუკა. როგორც ზემოთ დავინახეთ. სპორა გაცილებით უკეთ არის არსებობისათვის საბრძოლველათ მომზადებული, ვიდრე ბაქტერია; მას გაცილებით მეტი სიცივის, სიცხის და შიმშილის ატანა შეუძლია, ვიდრე ბაქტერიას. წაართვით ბაქტერიას საზრდო, სინოტივე, — ის დიდხანს ვერ გაძლებს ასეთ პირობებში: დაინაღრება და მოკვდება. გამოაცალეთ ყოველგვარი სინოტივე და საზრდო სპორას სამყოფს, ჩააგდეთ სპორა საყინულეში ან ადუღებულ წყალში, მას მაინც არა უშავს რა და ასეთი წამების შემდეგ, თუ როგორმე მოხვდა უკეთეს პირობებში, ნელანელა დაიწყებს საზრდოობას და მთელ ბაქტერიათ გადიქცევა. აი როგორ იბრძვის არსებობისათვის ბაქტერია: ის არ ეპუება ცუდ პირობებს, სანამ შეუძლია; როდესაც ველარას გახდება და გადაწყვეტს თავის იმედს, სიკვდილამდე მაინც ისეთ შთამოებას-სპორას დატოვებს, რომელსაც გაცილებით მეტი გაჭირვების ატანა შეეძლება. ამ გარემოებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს; ყველამ კარგათ იცის, რომ გადამდებ სნეულებასთან ბრძოლა მეტათ ძნელია; სპორები რომ ბაქტერიებსავით შედარებით ადვილი დასახოცი იყო, მაშინ გადამდებ სნეულებასთან ბრძოლა უფრო ადვილი საქმე იქნებოდა. კლავს, როგორც იქნება ადამიანი, სპორას, მოკვლა კი მეტათ ძნელია და, თუ სპორა ადამიანის ტანშია, შეუძლებელია:

ამიტომ რომ ადამიანი თავისდღეში ვერ აიტანს იმდენ შეეიწროებას, რამდენსაც სპორა და, თუ სპორას ავათმყოფის ტანში მოხვლა დაუპირეთ, ავათმყოფს სიცოცხლეს გაისტუმრებთ და სპორას კი ვერას დააკლებთ. შეიძლება ბუნებაში იყოს ისეთი საშვალება, ან მომავალში გამოიგონოს ვინმემ, რომ სპორას ეკლავდეს, ადამიანს კი ზიანს არ აძლევდეს, მაგრამ დღეს დღეობით მეცნიერებ ს ასეთი საშვალება არა აქვს და ამიტომ გადამდებ სნეულებათა წამლობა დღევანდელ სამედიცინო მეცნიერებაში ძალიან დაბალ საფეხურზე დგას: ისევ ჰიგიენა და დიეტა თუ შვრება რასმე, თორემ წამალი უმეტეს შეხვედრაში უქმია. თვითოეულ ბაქტერია მხოლოთ ერთხელ დებს სპორებს; სპორას დადების შემდეგ მას დიუხანს სიცოცხლე აღარ შეუძლია, მალე კვდება. ბევრი ქართველი დედები ღმერთს უნდა უმადლოდენ, რომ სპორებს ენა არ დაულია, თორემ ბევრჯერ შეარცხვენდენ მათ; რასაკვირველია, იმიტომ კი არა, რომ ჩვენი დედებიც შვილერობას არ გადაჯაენ ხოლმე სიცოცხლეს, არამედ იმიტომ რომ ბევრ მათგანს შვილის სიყვარული დაეიწყებული აქვს, ან გადამახინჯებულათ ესმის.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ყოველი ბაქტერია მხოლოთ ბაქტერიიდანვე ჩნდება: ან გაყოფით, ან სპორას შემწეობით. თუმცა ამ საუკუნის დამდეგს ბევრი მეცნიერი ამტკიცებდა, ბაქტერიები თავის თავათ ჩნდებიანო, მაგრამ ესეთ ყალბ აზრებს ჯერ კიდევ მესამეცე წლებში გამოაცალა ნიადაგი უკვდავმა პასტერმა და დღეს მეცნიერებაში მიღებულია უტყუარ ჭეშმარიტებათ, რომ თავისთავათ გაჩენა არავითარ ბაქტერიას არ შეეძლება. მაშ საიდან ჩნდება ბაქტერია? ბაქტერიადან; ის ბაქტერია სადღამდა ჩნდება? ისევ ბაქტერიადან! ვინღა გაჩინა თავდაპირველათ ბაქტერია, ან რა გასაჩენი იყო? მეცნიერებამ არა იცის რა ამის შესახებ და მე რაღა გითხრა, მკითხველო! ამის პასუხი მოთხოვე მას, ვინც ბუნების ყოველგვარ მოვლენაში უზენაეს ნებასა და სიყვარულს ხედავს. მართალია, რომ საუცხოვო დამამტკიცებელია უზენაესი კაცთმოყვარეობისა ბლექის, ხოლერის, ჟამისა და სხვა ბაცილების არსებობა, რომლებიც თითქმის კაცობრობის მესამედს ისტუმრებენ წიაღსა შინა აბრაამისასა, არა მკითხველო?! ეჰ, ყოველივე ჩვენს ცოდვით მოგვდისო, იტყვის გულუბრყვილო ადამიანი, რომელიც წყალწაღებულსავით ყოველ ხავსს ეჭიდება, ოღონდ კი სულის უკვდავობაში თავი დაირწმუნოს; თვალხილულისათვის კი ცხადია, რომ ბუნებაში არავითარი უზენაესი ნება, ნიჭი, მიზანი, სიყვარული და სხვა ამგვარი ლაპაიები არ არსებობენ,—ყოველივე ეს მხოლოთ ენის ცალიერი როკვაა, უაზრო და უშინაარსო, თავის მოსატყუებლათ და სანუგეშებლათ გამოგონილი.

ი. გ—ლი.

(შემდეგი იქნება)

## ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

**Г. М. Тумановъ. Замѣтки о городскомъ самоуправленіи на Кавказѣ.**

ბ. თუმანოვის უკანასკნელი წიგნაკი წარმოადგენს მის გაზეთ „Н. О.“-ში სხვა-და-სხვა დროს მოთავსებულ წერილების კრებულს, როგორც ავტორის წანასიტყვაობიდან ვტყობილობთ, და ამიტომ მკითხველი არ უნდა მოელოდეს ამ წიგნაკიდან ახალს რასმე. ამ წერილების ცალკე წიგნაკათ გამოტეემას ავტორი იმით ამართლებს, რომ აქ აღძრული კითხვები დღესაც იმდენათ საინტერესოა არიან, როგორც გუშინ იყვნენ, და ამაში ჩვენც ვეთანხმებით, რადგან ჩვენი ქალაქის თვითმართველობა ძალიან ნელი ნაბიჯით მიდის წინ. მაგრამ არ შეგეძლია აქეს არ შეენიშნოთ, რომ გაზეთის შენიშვნებსა და ცალკე წიგნაკათ გამოტეემულ წერილებს შორის დიდი განსხვავებაა და მკითხველსაც ნება აქვს მეტი მოთხოვოს უკანასკნელს. თუ საკვანძეთო წერილებში დღიური ბირობების მიხედვით ავტორი იძულებულია ხან ერთ მხარეს მიაქციოს მეტი ყურადღება, ხან მეორეს, რასაც მას ხშირათ მოუბრდებრე მიმართულების შეურეველ ... აიძულებს, თან ის სიჩქარე, რომელიც უნდა დასდევდეს გაზეთის კითხვების აღძრა-გარკვევაში ამის გამო კითხვის სრული და საფუძვლიანი გამოკვლევის მოთხოვა მისკენ თითქოს უსამართლოდ იქნება. ცალკე გამოტეემულ წერილებისგან მეტის მოთხოვნა შეგვიძლია. სამწუხაროთ, ამის ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ავტორი, მაგრამ თვითონაც გრძნობს და ამიტომ ამაზე სიტყვას ალარ გაგაგრძელებ. საზოგადოთ აღძრულ კითხვათა გადაწყვეტა რიგიანი და საამართლიანია, რითაც საესებამოვნოთ კანონიერ ბ. თუმანოვი ბევრი თანამედროვე და ადგილი მწერლებისგან. ასეთია მაგალითოთ მისი შეხედულება სომეხ-ქართველთა ერთგვარი განხეთქილების შესახებ—ქალაქის თვითმართველობაში. სრულიად არ ვეთანხმებით ამ კითხვაზე ბ. კალამის შენიშვნას (ტნ. ფ. № 1832), რომელიც ფიქრობს, რომ „ერების წარმომადგენელთა საბჭოში შეერთება საქმეს გამოაფხიზლებსო“. უფრო საამართლიანათ მეგვაჩნია ბ. თუმანოვის აზრი, რომელიც ამ „ერების წარმომადგენლებისგან“ არაფერს მოელის და თანამედროვე ქალაქების მოუწყობლობის უმთავრეს მიზეზს ხედავს „ბლუტოკრატიის“ გაბატონებაში, რასაც ხელი შეუწყო ქალაქის ახალმა დებულებამ ტენზის გადიდებით. ჩვენთვის გაუგებარია, რით უნდა გაანგარიშებინონ „ერების წარმომადგენელებმა საქმე“, თუ ისინი ისევ იმავე წრიდან გამოვლენ, რომელსაც დღევანდელი ხმოსნები ეკუთვნიან, ნუ თუ იმითი რომ ერთი ქართველთა მოდრანგვას რეესულ სიტყვებს საბჭოს რეზოლუციაში და მეორე სომხურათ; სულ სხვათუ თვით ერების ეკონომიურ მდგომარეობაშია განსხვავება და ამისგან მომდინარე ინტერესებში, მაგრამ მაშინ ერთგვნება რადა მოსანია? ამიტომ ჩვენც, როგორც ბ. თუმანოვი სწორეთ კლასიურ ბრძოლას ვხედავთ ქალაქის საქმეებში და არა ერთგვნულ, რომელიც ბურუსშია გახვეული ჩვენი ბუბლიცისტების წყალობით.

უფრო საინტერესოთ მეგვაჩნია ბ. თუმანოვის წერილები, რომელნიც საფინანსო-საოჯახო კითხვებს ეხებიან და იმას მიავქცევთ ყურადღებას, მაგრამ მეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ ბ. თუმანოვის ბირველი წერილის ის ნაკლი, რომელსაც საამართლიანათ უჩვენებს ბ. კალამიც. ბ. თუმანოვის წერილიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ ბრძოლის „ეროვნულ ნიადაგზე“ გადატანა და ამითი საქმის არევა, მარტო ქართველების საქმე უნდა გამოიყვანოს, ნამდვილათ კი სომეხთა ბლუტოკრატებმაც საკმაოთ ისარგებლეს ეროვნულ დროშით და მიაღწიეს კიდევაც საწადელს. ამაში ჩვენ ავტორის მხრით გადაუფიქრებლობის სურვილს არ ვხედავთ და ასეთ ცალმხრივობას მიეკისინი, რომ ბ. თუმანოვი უმთავრესი რუს-ქართველთა ბარტიის მწერლების წინააღმდეგ წერდა, ბოლოს-ბოლოს კი მოგვიანებით, გარდა მეტებისა ადვილია. მეორე მაგალითის წარმოადგენს ბ. თუმანოვის აზრი ინტელიგენციის შესახებ, რომელზედაც ის გაზვიადებული წარმოდგენისაა და ფიქრობს, რომ თეიდისის საბჭოს შეუძლია ამის ეოს თავისი დიპლომიანი ხმოსნებით (გვ. 57 წერილი „Участковые выборы“) აქვე ბ. თუმანოვი ბრძანებს „აუცილებლათ საჭიროა ამომრჩევლები დაიეონ და დაჯგუფდენ ეკონომიური ტენდენციებისა და განვითარების ტენზის მიხედვითა“. რამდენათაც საამართლიანია ბირველი საზრომი, იმდენათ გაუგებარია მეორე. მართლა რა არის განათლების ტენზი, ან რისი ჩვენება შეუძლია მას? თუ რისამე—ისევ იმის, ჩვენი აზრით, რომ ვისაც ამგვარი ტენზი მეტი აქვს, ის უფრო მეტათ დაშორებულია ხალხს და მის ინტერესებ ... ვისთვის არის დღეს საიდუმლო, რომ თვით თავისუფალ ბრალ ... სიის მიიდევარი ინტელიგენტია სრული მონა მორჩილია გაბატონებული კლასისა, რამდენათ ის დამოკიდებული არის, ხოლო რამდენათ ამ დამოკიდებულებისგან თავისუფლება, იმდენათ თვით შეგაბატონებულ კლასში. აქ, ჩვენი აზრით ბ. თუმანოვი ჯერ კიდევ საკმაო სარეს იხდის მაძველებულ სარდლიკული შეხედულების გავლენის წინ და მხოლოთ ამითი უნდა ავხსნათ ეს მისი შეცდომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრათ უფრო სამართლიანია მისი აზრი (167 გვ. „Кое-что о город. финансах!?), სადაც ის ამბობს, რომ ხშირათ საერობო კრებებში წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ჯიბე-გასუქებული ინტელიგენტი, რომლისთვისაც გარეშე მამონისა არა არის რა წმინდა". ეს აზრი სწორეთ აქ აქვს გამოთქმული ბ. თუმანოვს, სადაც ის ქალაქის ფინანსებსა და საოჯახო საქმეებზე ლაპარაკობს. ადვილი გასაგებიცაა, რადგან „ხე ნაყოფით იცნობის", ჩვენ „ინტელიგენტურ" საბჭოს კი არაფერი უზრუნია ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის. ამ მხრივაც წიგნში ბევრ საინტერესოს ამოიკითხავენ ჩვენი „მამები" როგორც წარსულიდან, ისე თანამედროვეს შესახებაც.

ასეთია, მაგ., „კითხვა ცხენის რკინის გზის გამოყიდვის შესახებ" (გვ. 133). პირველი შეცდომა ქალაქის თვითმართველობისა ამ საქმეში ის იყო, რომ ნაცვლათ საოჯახო წესით საქმის მოწყობისა კონცესსიით მისცეს უსახელო და უზოდიშო საზოგადოებას, რის გამო ქალაქის მცხოვრებლების ჯიბიდან გადადის ხსენებული საზოგადოების ჯიბეში, ბ. ვერმიშევის გამოანგარიშებით, არა ერთი და ორი მილიონი (გვ.144—148). თუ ძველი ტრადიციების მიმდევარ საბჭოს კიდევ ეპატიება ასეთი შეცდომა, სულ სხვა უნდა ვთქვათ ახალი დროის ინტელიგენტურ საბჭოზე, რომელმაც დაკარგა მარჯვე შემთხვევა საქმის გამოსასწორებლათ, რომელიც მას მიეცა 1897 წელს. ჩვენმა „მამებმა" მაშინ გულახდილათ აღიარეს, როგორც ბ. თუმანოვის წიგნიდან ვტყობილობთ, თავიანთი მოუმზადებლობა და უვარგისობა ქალაქის საქმეების მართვაში. მათ იმისი იმედიც კი არ ქონდათ, რომ მტკიცე ნიადაგზე დაყენებულ საქმის გაძღოლას შეძლებდენ (გვ. 152). ამასთან ხელი შეუშალა ცხენის რკინის გზის გამოყიდვის საქმეს იმ გარემოებამაც, რომ „საზოგადოებაში და მწერლობაში გავრცელდა ხმა ქალაქის მამებს იმისთვის უნდათ ხელში ჩაიგდონ ეს საქმე, რომ შექმნან მდიდარი სინეკურა თავისთვის და თავისიანებისთვისო. ეს ფაქტი საგულისხმოა ჩვენი ქალაქის „პატრონ-პატრონთა" დასახასიათებლათ. საქმის ცოდნა და ნდობა უკეთესი აღარ იქნება! გაუგებარი მხოლოთ ის იქნებოდა, თუ რა ამაგრებს ამ ვაჟბატონებს საქმის სათავეში, რომ არ ვიცოდეთ „დებულების" საფუძველი და ცენზის ძლიერება!..

ასეთი სადა შეხედულება აქვს ჩვენ მამებს ქალაქის საჭიროებისთვის სესხის აღებაზე და მისი ფინანსების მოწყობაზედაც. ამ შემთხვევაში „უმთავრესი ხელის შემშლელი მიზეზი სწორეთ ის ყოფილა, რომ ჩვენ საბჭოებში თითქმის მარტო კაპიტალის წარმომადგენლები არიანო", ამბობს თუმანოვი და ჩვენც უნდა დავეთანხმოთ, რადგან ამას მოწმობენ პირუთნელი ფაქტებიც.

ქალაქს დაუკარგავს უკეთ ვთქვათ დააკარგვინეს მისმა გამგებლებმა საუკეთესო შემთხვევა ქალაქის [illegible] ბანკის დაარსებისა 70 წ. და შემდეგ 1893 წ. და ამით კერძო კაპიტალისტების ჯიბეს ანაცვალეს ქალაქის ინტერესები (გვ. 164—166).

ასეთივე შედეგები მოჰყვება ყოველ უადგილო ეკონომიას, რომელსაც იჩენს „ინტელიგენტთა" საბჭო და სესხით სარგებლობის შეუგნებლობას, რომელსაც მეტათ უფრთხის საბჭო, და ყოველი სასარგებლო საქმის განხორციელების წინააღმდეგ უფულობას იხვევს თავზე. საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ ბ. თუმანოვის წიგნი საკმაო მასალას იძლევა ჩვენი საბჭოს მოქმედების მიუდგომელი კრიტიკისათვის. ამ წიგნის დაწვრილებით გარჩევა ჩვენი თვითმართველობის მთელი ნამოქმედარის გარჩევას მოითხოვს, ეს კი ძლიერ შორს წაგვიყვანს და ამიტომ ნათქვამით უნდა დავკმაყოფილდეთ. ვიტყვით მხოლოთ, რომ მიუხედავათ იმ ნაკლულევანებისა, რომელიც ზევით აღვნიშნეთ და რომელიც ასეთი ნაწერებისთვის აუცილებელია, ბევრი მეტათ საგულისხმო შენიშვნებია მაში ქალაქის საქმეების მართვა-გამგეობის შესახებ და მკითხველისთვის არა უმნიშვნელო იქნება ამ წიგნის გადათვალიერება და აღძრულ კითხვების შესახებ ერთხელ კიდევ ჩაფიქრება.

ნ. ელიავა.

---

# წვრილი ამბები.

სწავლა არის საუკეთესო იარაღი თვითარსებობისთვის ბრძოლაში. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა, მაგრამ [illegible]-ჯერ უმრავლესობისათვის გაუგებარი, თანდათან [illegible] ფართოვდება, და აგებინებს თავის საჭიროებას საზოგადოების ყოველ ნაწილს. ეს შეგნებაა უეჭველათ მიზეზი ბერლინში მუშათა სკოლის დაარსებისა, სადაც კვირაში სამჯერ სადამოთი აუცილებლივ იკრიბებიან მუშები. ეს თავისებური ხასიათის სასწავლებელი, პევრი წოწიალის შემდეგ მოთავსდა უკანასკნელათ მუშათა პროფესიონალურ კავშირთა შენობაში. შედარებით, პაწია სასწავლებელი ძლიერ უბრალოთაა მოწყობილი. უბრალო ხის სტოლების გარშემო დგას ვენის სკამები, პაწია კათედრა და საწერი დაფა, აი მთელი მორთულობა სასწავლებლისა. კედელზე ჩამოკიდულია მხოლოთ ორი სურათი, ერთი თვით სკოლის დამაარსებლის ვილჰელმ ლიბკნეხტისა, მეორე რობესპიერის. ვერ დაინახავთ აქ რამე სასწავლო ნივთებს, წიგნებს, ქარტებს, სურათებს, გარდა რამდენიმე პაწია ფიცრისა, რომელზედაც აწერია: „სწავლის დროს ლუდის დარიგება აღკრძალულია". საზოგადოთ სასწავლებლის მთელი სურათი არაფრით არ განირჩევა საშუალო ღირსების რესტორანიდან, მხოლოთ შავი დაფა გაგებინებთ თქვენ, რომ ეს არის სასწავლებელი და არა ბერლინელი ბიურგერის ჩვეულებრივი დროს გასატარებელი.

მაგრამ თუ სასწავლებლის მოწყობილება ვერ მიიქცევს თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას, სამაგიეროთ თვით მოსწავლენი დაგაინტერესებენ. მომეტებულ ნაწილათ ესენი არიან 18-25 წლის ახალგაზდანი: შეგხვდებათ მათ შორის ამაზე ნაკლები ხნისანიც და მთლათ გათეთრებული მოხუცნიც. გარეგნული შეხედულობით თქვენ ძნელათ დარწმუნდებით, რომ ესენი მუშები არიან. ყველა მათგანს აზის ბეჭედი ადამიანისა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი პიროვნება, ღირსება, მათ უფრო ინტელიგენტური გამომეტყველება აქვთ. თვით ტანისამოსითაც კი აქაური მუშა ძნელათ განირჩევა თავის თანამემამულეთა სხვა წოდებისაგან: მთელი გულის პირი, მაჯები, გალსტუკი. მხოლოთ ხელები, რომლებიც დაკოჟრებულა მუშაობისაგან და ვერ გადარეცხილა ქარხნის სხვა და სხვა წამლისაგან, გამცნობთ თქვენ, თუ ვინ არიან ესენი. მხოლოთ ხელებზე შეატყობთ, რომ თქვენ გაქვთ საქმე მუშათა ელემენტის წარმომადგენლებთან. არც მუშა ქალები ჩამოუვარდებიან თავიანთ მოძმეთ ამაში. ისინიც სუფთათ და კოპწიათ არიან გამოწყობილნი და ბევრ თბილისელ კაკარდოსანის ცოლს შეშურდება მათი კოხტა მორთულობა.

აი შეიკრიბენ მოსწავლენი—ქალი და კაცი. მასწავლებელი ჯერ არსად არის. მოსწავლენიც მუქთათ არა სხედან. ლექციის მოლოდინში ეზიდებიან ლუდს, ურომლისოდაც ვერ გასძლებს ვერც ერთი რიგიანი გერმანელი. საზოგადოთ ლუდი დიდ როლსა თამაშობს გერმანელის ცხოვრებაში, მისი სიმშვიდე და თავის დაჭერა ბევრით არის შეკავშირებული ლუდის ჭიქასთან, რომელიც უდგას მას წინ, იპყრობს და ართობს მის ყურადღებას. თვის ჩვეულებრივ სიჩუმეში ლუდია მისი გამართობელი. მოუჯდება ჭიქას გაჩუმებული სწურავს ნელ-ნელა და ათსში ერთხელ გამოეხმაურება მეზობელს, რომ კვლავ გაჩუმებული, ჩაფიქრებული დაუბრუნდეს ჭიქას. არც ამაში უვარდებიან ქალები მამაკაცებს. მათაც კარგა მოზდილი ჭურჭელი წამოუდგამთ სტოლზე ნუგეშ საცემ სასმელისა.

საათის ისარი ცხრაზე გადავიდა. ახალგაზდა მასწავლებელი გაპარსული წვერ-ულვაშიანი მიდის კათედრისაკენ. აგერ მან მოავლო თვალი აუდიტორიას და ზარი დააწკარუნა. დაიწყო ლექცია. დღეს ის ლაპარაკობს ლიტერატურის ახალ მიმართულებაზე, სრულებით უბრალო სიტყვით უხსნის ის მსმენელებს განსაკუთრებულ თვისებას ლიტერატურის ახალი ეპოქისას, ადარებს მას ძველ დროის და საშუალო საუკუნოების ეპოქებს. ლაპარაკობს ის ტეხნიკის სწრაფ და ფართო განვითარებაზე, საბეჭდავ მანქანებზე, რომელმაც გაადემოკრატა თვით ლიტერატურა და შეიქმნა საშუალებათ, რომ ღარიბ ხალხსაც შეძლებოდა დაწაფებოდა ცოდნის წყაროს. მერე გადადის

ის რკინის გზის მნიშვნელობაზე, უამბობს მსმენელებს, რა შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს მას სხვა-და-სხვა ერთა შორის. მათის კულტურული შენაძენით აცნობს სხვა-და-სხვა გამოჩენილ მწერალთ და მეცნიერთ და სხვა., ლექცია თავდება და აუდიტორიაში გაისმის ერთხმივი „ვაშა“!. რამდენიმე ხნით სიჩუმეა, რომლის შემდეგ იწყება საინტერესო მომენტი: ახლა ლექტორი სთხოვს მსმენელებს, ვის რა აქვს წინააღმდეგი იმისა, რაც მან დღეს ილაპარაკა, ან ვინ რა ვერ გაიგო მისი სიტყვებიდან. ჯერ ვერავინ ვერა ბედავს. რამდენიმე ყოყმანის შემდეგ დგება რომელიმე გამბედავი და იწყება კამათი. მას აინტერესებს ლექტორის შენიშვნა შესახებ იმისა, რომ ზოგიერთ მწერალთათვის ხელოვნება შეადგენს თვით მიზანს და თვით ქმნილებაშია მისთვის უპირველესი ღირსებები, ხოლო ზოგიერთი მწერალი კი ხელოვნებას უყურებს, როგორც საშუალებას მკითხველებში თვისი იდეების გასავრცელებლად. ლექტორის მოკამათე ლაპარაკობს გაუბედავად, კოჭლობს სიტყვებში, უწყდება წინადადება, მაგრამ საერთოდ მისი სიტყვა კი ახასიათებს მას, რომ იგი ზედ-მიწევნით იცნობს ახალ ლიტერატურას.

კითხვები ლიტერატურის შესახებ და ისიც საშუალო საუკუნოებისა, რასაკვირველია, ძლიერ შორსაა აუდიტორიის საყოველდღეო საჭირ-ვარამო კითხვიდან, მაგრამ თუ ის ამაშიაც კი იჩენს გულმოდგინებას და ინტერესს, წარმოსადგენია როგორი ყურადღებით ეპყრობა ის საგანს, რომელიც შეეხება თანამედროვე ცხოვრების პირობებს და ავ-კარგს.

—ბევრსა ლაპარაკობენ გერმანიაში ქალების პოლიტიკურ უფლებათა შესახებ. ამას წინეთ პრუსიის პალატაში ამის შესახებ ატყდა დიდი კამათი, რომელიც გამოიწვია პრუსიის სახალხო მასწავლებელ ქალთა პეტიციამ. სახალხო მასწავლებელი ქალები ამ პეტიციით თხოულობდენ მისცემოდათ ქალებსაც ნება პოლიტიკურ წრეებში მონაწილეობის მიღებისა. თავისუფალი მოაზრე დეპუტატი კრიგერი სთხოვდა პალატას შეეწყნარებინათ ქალების პეტიცია. „ქალიო, თქვა მან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებს თანდათან მეტ მონაწილეობას დღეს ოჯახის ყოვლადმხრივი წესრიგის დაცვა აღარ შეადგენს მის აუცილებელ მოვალეობას. ჩვენ ვხედავთ, რომ ქალს დღეს უჭირავს მრავალგვარი საზოგადო, სამოღვაწეო ასპარეზი და არა გვაქვს ნება აუკრძალოთ მას მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ფერეინებში. შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოთქვა აზრი, რომ ის მისცემს ქალებს ნებას მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ფერეინებში, მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ კრებებზე ცალკე, განსაკუთრებული ადგილი ეკავოთ. ამისთანა განკარგულება არ არის განკარგულება გერმანიული, არამედ აზიური“.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ფონ-გამმერშტეინმა არ უარყო თვისი აზრი და თქვა, რომ, მართლაც ქალებს ამჟამათ ბევრი საზოგადო ასპარეზი უჭირავთ. „რასაკვირველია, ეს მოვლენა ფრიად სასიხარულოა, დასძინა მან, რადგან ვხედავთ, რომ ამისთანა მოქმედებამ ქალებს კაი ნაყოფი მოუტანა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათ ნება უნდა მიეცეთ საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მიიღონ. ამ კითხვის შესახებ საზოგადოთ ორი ერთი მეორის წინააღმდეგი აზრია გამოთქმული. რასაკვირველია, ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ იმისი, რომ საქველმოქმედო საქმეებში ქალების შრომა ფრიად სასარგებლოა და სასურველი, მაგრამ იქნება თუ არა მათი მონაწილეობა სასარგებლო პოლიტიკურ საქმეებში, ეს კი საეჭვოა. ამ ორმოცდა ათი წლის წინათ დადგენილი იყო კანონი ფერეინებში მონაწილეობის მიღების შესახებ და დღეს ჩვენ იმავე აზრისანი ვართ, როგორც ამ კანონის დადგენილების დროს. მე არა მსურს, რომ ქალებმა პოლიტიკურ საგნების შესახებ კამათში მონაწილეობა მიიღონ, ჩვენთვის ძლიერ სამწუხარო იქნებოდა, რომ ქალებმა თვისი ფიცხი ბუნებით იმოქმედონ ხალხზე პოლიტიკურ კითხვების შესახებ. ჩვენ უნდა ვერიდოთ ამას, პოლიციას ნება უნდა ქონდეს საქმეში ჩარევისა, მაგრამ თუ ქალებს ნება მიეცემათ იყვნენ მხოლოდ მსმენელნი პოლიტიკურ ფერეინებში, მაშინ საქმეც სხვა ნაირათ უნდა მოეწყოს. მათ ამ ფერეინებში უნდა ეჭიროთ განსაკუთრებული ადგილი, რომ მათი მონაწილეობა, როგორც უბრალო მსმენელებისა, დადგენილი იქმნას სამუდამოდ, [illegible] მათ შეუძლიათ იქონიონ იმედი ჩვენის ყურადღებისა; [illegible] ისინი მოიწადინებენ ამ წესის დარღვევას, მაშინ მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მივმართოთ წესიერების დასაცველათ კანონიერ ზომებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია პალატის მემარჯვენეებში და კონსერვატიულ წრეებში. ლიბერალური პრესა ირონიით მიეგება მინისტრის აზრს. „მართლაცო,—ამბობს ერთი ლიბერალთა გაზეთი, ხუმრობა არ არის 50 წლის განმავლობაში ერთ ადგილას გაჩერება და ისიც მაშინ, როდესაც ყოველივე, იცვლება, მოძრაობს და წინ მიისწრაფის. შინაგან საქმეთა მინისტრმა და კონსერვატორებმა შესძლეს ეს ძნელი საქმე, მათთვის არა არსებობს ქალთა შესახებ კითხვა და ნუ თუ ამის შემდეგ შესაძლებელია ფონ-გამმერშტეინთან კამათი ამის შესახებ? განა ბევრი შესძლებს 50 წლის განმავლობაში გაიყინოს ერთ ადგილას ან და 50 წელიწადით გაექვავოს უკან?“.

მიუხედავათ ამისა, რომ პრუსიის მინისტრი დღეს აძლევს ქალებს ნებას დაესწრენ ფერეინებს უბრალო მსმენელებათ მაინც, ესეც ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს ქალთა კითხვაში. ასევე მიეკვეთებ გერმანელი ქალებიც ამ ნებართვას, და იწვევენ ქალებს დაესწრენ პოლიტიკურ ფერეინებს, რომლებსაც მათთვის ექნება აღმზრდელი მნიშვნელობა ისე, როგორც მამა-კაცებისათვის.

ი—ელი.

---

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

---

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.


**სასწავლებელი და პანსიონი.**

ა. მამულაიშვილისა.

ვერა, სლეპცოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთექის მახლობლათ.

---

თფილისის კერძო სამკურნალო

**მ. გედევანიშვილისა**

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა:

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი და ნერვების, სამშაბ. და პარასკ.—1—2.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით-ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ვ. გრ. სობოლევსკი—ქირურგ. და ორტოპედიული, ორშ. ოთხშ. და პარსკ. 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდახოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6.

მ. გ. იანჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.


Дозволено цензурою, Тифлисъ, 22 iюня 1902 г.

სტამბა კ. ი. მარტიროსიანცისა, ორბელიანოვის ქუჩა, 1—2